# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 30 იანვარი, 2008 წელი.

№ 17 (5875)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ოპოზიცია ხელისუფლებას 15 თებერვლამდე მისცა ვადა 2





## ფოთი: 9 ნგრევა... შენებით

## სირცხვილია, ხალხო, როდემდე უნდა ვაძიძგილაოთ ყვინჩილებივით ეს ავად პოლიტიკანაყლაპი ჩვენი გოგო-ბიჭები?! 5




### სოსო ცისკარიშვილი:



## თბილისს სააკაშვილის სიტყვების აღარ სჯერა! 4

მეორე ტურის გაუმართაობის მიზეზი გარიგებაა

### დავით მირცხულავა:



## ჩვენი ენერგეტიკა ვერ იქნებოდა დღევანდელ დონეზე, რომ არა... 7

### შალვა ნათელაშვილი:



## ნოემბერში ოპოზიციას შეეძლო უკრაინის მოდელის გამოყენება და... 8

დოკუმენტი

საგანგებო ბრიფინგი

# ოპოზიცია



# ხელისუფლებას 15 თებერვლამდე მისცა ვადა

**ოპოზიციურმა პარტიებმა და პრეზიდენტობის ოპოზიციურმა კანდიდატებმა „ქორთიარდ მარიოტში" ხელი მოაწერეს 17-მოთხოვნიან სპეციალურ განცხადებას, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს წარედგინება.**

ოპოზიციის ლიდერები ერთადერთ ლეგიტიმურ ორგანოდ ქვეყანაში საქართველოს პარლამენტს მიიჩნევენ და ამიტომ მასთან დიალოგისთვის მზად არიან. გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით, დოკუმენტში ასახულია ის აუცილებელი ცვლილებები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეების უპირველესი მოთხოვნილებაა. „ეს ის არის, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დადგეს თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების, თავისუფალი მედიისა და სასამართლოს"დრო.

„მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის აზრით, მიხეილ სააკაშვილმა დანაშაულებრივი საქმიანობა დააგვირგვინა არჩევნების გაყალბებით და მეორე ტურის მოპარვით. მან მოპარა ის საკუთარ ხალხს. შესაბამისად, ამ ყველაფერს პოლიტიკური სპექტრის და დემოკრატიული ძალების ძალიან მკაფიო შეფასება სჭირდება. ამავე დროს, ჩვენ ყველას გვჭირდება ძალიან მყარი გარანტიები იმისა, რომ საქართველოში ვერასოდეს ველარავინ გააყალბებს არჩევნებს, ვერავინ მიითვისებს ხალხის ხმებს და არჩევანს. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება ქვეყანა, რა პოლიტიკური პერსპექტივა აქვს საქართველოს".

დავით გამყრელიძის თქმით, ამ ეტაპზე ბევრად უფრო აქტუალურია, რამდენად შეიქმნება გარანტიები თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის, ხოლო ვინ რა ბლოკით წარდგება საპარლამენტო არჩევნებზე, ეს მეორე ეტაპის საკითხია. „ჩვენ არ გვინდა რაიმე სპექტაკლში მონაწილეობა, რომლის ქართული საზოგადოებისთვის შეთავაზებაც კიდევ ერთხელ სურს სააკაშვილს. თუ იქნება გარანტიები, ბუნებრივია, ვეცდებით, საინტერესო არჩევანი ჰქონდეს ქართველ ხალხს – იქნება ჩვენი მხრიდან ერთიანი ფრონტი თუ მსოფლმხედველობრივი ბლოკები. დაველოდოთ პროცესებს", – დაასკვნა გამყრელიძემ.

პრესკონფერენციაზე გაირკვა, რომ დოკუმენტი შეთანხმებული ყოფილა ლეიბორისტულ პარტიასთანაც. პარტიის ლიდერი, გამოჯანმრთელების შემდეგ თავად აცნობებს საზოგადოებას ხელმოწერის თაობაზეო.

ოპოზიციამ ხელისუფლებას 15 თებერვლამდე მისცა ვადა. თუ მემორანდუმით გათვალისწინებული მოთხოვნები არ შესრულდა, 15 თებერვალს, 2 საათზე გაიმართება საპროტესტო მიტინგი. „მიტინგები პერმანენტული იქნება და ჩვენ დავიწყებთ ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის მეორე ტალღას საქართველოში სამართლიანობის აღდგენისათვის", – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

**ნატა ნიბლაძე**

## საქართველოს პრეზიდენტობის ოპოზიციური კანდიდატებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების განცხადება

# 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევის და 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესახებ

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, მსოფლიო ქვეყნების მთავრობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს**

ბოლო პერიოდში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტობის ოპოზიციური კანდიდატები და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ვაცხადებთ, რომ:

- საქართველოს პრეზიდენტობის ოპოზიციური კანდიდატები და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე, დამოუკიდებელი დამკვირვებლების დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა ტოტალური გაყალბების და ძალადობის პირობებში, რამაც პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა არჩევნების შედეგზე და კანონის დარღვევით არ დაინიშნა არჩევნების მე-2 ტური;
- საქართველოს პრეზიდენტობის ოპოზიციური კანდიდატები და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები არ ცნობენ თვითგამოცხადებული „პრეზიდენტის" მიხეილ სააკაშვილის ლეგიტიმურობას და უარს ამბობს მასთან თანამშრომლობაზე და მის მთავრობაში ნებისმიერი თანამდებობების დაკავებაზე;
- სააკაშვილის არალეგიტიმური რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოს პრეზიდენტობის ოპოზიციური კანდიდატები და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები აგრძელებენ წინააღმდეგობის კამპანიას კონსტიტუციური, მშვიდობიანი პროტესტის საშუალებების გამოყენებით;
- მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური კრიზისის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით, რისთვისაც გადაუდებლად უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

### 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების არალეგიტიმური შედეგების დაძლევის მიზნით:

1. საერთაშორისო დამკვირვებლების მონაწილეობით გადაითვალოს ამომრჩეველთა ხმები სადავო ოლქებში, მათ შორის ვიდეოთვალის მონაცემების გამოყენებით;

2. კენჭისყრის დროს აღმოჩენილი დარღვევები გამოძიებულ იქნას და დამნაშავეები დაისაჯონ სისხლის სამართლის წესით;

3. განხორციელდეს კონსტიტუციური ცვლილება, რომლის თანახმადაც ახლადარჩეულ პარლამენტს წარედგინება მთავრობის ახალი შემადგენლობა.

### პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით:

4. დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ პოლიტიკური მოსაზრებების გამო დაკავებული პირები;

5. გამოძიებულ იქნეს 7 ნოემბრის მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევა, პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმის და ზეწოლის ფაქტები;

6. გადაყენებულ იქნენ შს მინისტრი და გენერალური პროკურორი. რეორგანიზებულ იქნეს პოლიტიკური პოლიციის ქვედანაყოფები (სოდ, კუდ, სასჯელაღსრულების სპეცდანიშნულების დანაყოფიძ;

7. შეიქმნას სამართალდამცავ სისტემაზე მონიტორინგის სისტემა: პარლამენტის საგამოძიებო კომისია (პარიტეტულ საწყისებზეძ და მონიტორინგის რეგიონული საბჭოები, რომლებიც გამოიძიებენ ძალოვანი სტრუქტურების უკანონო ქმედებებს.

### სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით:

8. საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭო დაკომპლექტდეს პარიტეტის პრინციპით შემჭიდროებულ ვადებში, გენერალური დირექტორი დაინიშნოს მხარეებს შორის შეთანხმებით;

9. კომუნიკაციების ეროვნული კომისია დაკომპლექტდეს პარიტეტის საფუძველზე;

10. რეალურად ამოქმედდეს კერძო ტელევიზიებზე მონიტორინგის სისტემა, ე.წ. „მიჰნიკის ჯგუფი";

11. აღდგეს საჯარო დაწესებულებების, მათ შორის სასამართლოს სხდომების საჯაროობა და მედიის დასწრების თავისუფლება.

### არჩევნების პროცესის კანონიერად წარმართვის მიზნით:

12. პარლამენტის არჩევნები დაინიშნოს მოქმედი პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე (აპრილიძ. აჭარის პარლამენტის არჩევნები დაინიშნოს აჭარის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე (ივლისიძ;

13. რეფორმირებულ იქნეს დღეს მოქმედი ე.წ. მრავალმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა (Winner takes allძ, იმგვარად, რომ მანდატები განაწილდეს მიღებული ხმების პროპორციულად;

14. სრული პარიტეტის პრინციპით (ანუ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების თანაბარი წარმომადგენლობითძ დაკომპლექტდეს ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაცია. ცესკოს თავმჯდომარე დაინიშნოს მხარეებს შორის შეთანხმებით. საოლქო და საუბნო კომისიის თავმჯდომარეების, მოადგილეების და მდივნების თანამდებობები განაწილდეს საარჩევნო სუბიექტებს შორის;

15. აიკრძალოს საარჩევნო კამპანიაში პრეზიდენტის და სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირების მონაწილეობა;

16. ყველა საარჩევნო უბანი აღიჭურვოს ვიდეოთვალით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის;

17. შემუშავებულ იქნეს საარჩევნო კოდექსის ახალი რედაქცია, სადაც გათვალისწინებულ იქნება წინასწარი გამოკითხვების (Exit Pollძ გამოქვეყნების, ამომრჩეველთა სიების შედგენის და დარღვევების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმები, აგრეთვე საერთაშორისო დამკვირვებლების სხვა შენიშვნები.

გაერთიანებული ოპოზიციის
პრეზიდენტობის კანდიდატი
ლევან გაჩეჩილაძე,
ახალი მემარჯვენეების ლიდერი და
პრეზიდენტობის კანდიდატი
დავით გამყრელიძე,
„მომავლის პარტიის" ლიდერი და
პრეზიდენტობის კანდიდატი
გია მაისაშვილი,
ეროვნული ფორუმი
კახა შარტავა,
თავისუფლება
კონსტანტინე გამსახურდია,
მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის"
გია თორთლაძე,
კონსერვატიული პარტია
ზვიად ძიძიგური,
„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"
ზურაბ ტყემალაძე,
რესპუბლიკური პარტია
დავით უსუფაშვილი,
„საქართველოს გზა"
სალომე ზურაბიშვილი,
„ქართული დასი"
ჯონდი ბაღათურია,
„ჩვენ თვითონ"
პაატა დავითაია,
ხალხის პარტია
კობა დავითაშვილი.

**მიხეილ სააკაშვილი: ამ არჩევნების მთავარ მიღწევად მიმაჩნია ის, რომ აქ პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო ორგანიზაციიდან იყვნენ დამკვირვებლები. მათი რიცხვი 900-ს აღემატებოდა და რეკორდული იყო არა მხოლოდ ჩემი ქვეყნისთვის, არამედ მთლიანად რეგიონისთვისაც**



**ინფორმაცია**

## ბექაშვილს მემორანდუმისა არ ეშინია

ხელისუფლება მზად არის, განიხილოს ყველა ის საკითხი, რომლებიც ოპოზიციის მემორანდუმში იქნება ჩამოყალიბებული.

როგორც იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბექაშვილი აცხადებს, მემორანდუმთან დაკავშირებით დიალოგის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება არა რომელიმე პარტიის, არამედ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

დიალოგთან დაკავშირებით მზადყოფნა გუშინ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმაც გამოთქვა. მისი განცხადებით, უნდა შეიქმნას ისეთი საარჩევნო გარემო, რომ საპარლამენტო არჩევნების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველი არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ჰქონდეს.

## გენპროკურორმა თანამდებობა დატოვა

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს უკვე აცნობა, რომ თანამდებობას ტოვებს.

შესაბამისი წერილობითი შეტყობინება საკანონმდებლო ორგანოში გვიან ღამით შევიდა.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ადეიშვილი გენერალური პროკურორი აღარ იქნებოდა, მთავრობის ახალი შემადგენლობის დასახელების დროს გახდა ცნობილი. გენპროკურორის თანამდებობას ეკა ტყეშელაშვილი დაიკავებს.

არსებული ინფორმაციით, ზურაბ ადეიშვილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად დაინიშნება.

## სად გადაიყვანენ ქათამაძეს?

უკრაინაში საქართველოს ყოფილი ელჩის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგოლ ქათამაძის „საქართველოს ბანკში“ გადასვლასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე ბანკის გენერალური დირექტორი ირაკლი გილაური კომენტარს არ აკეთებს.

ამაზე კომენტარის გაკეთება ჯერ ნაადრევია, ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ. თუ იქნება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილება, აუცილებლად გაცნობებთ, — განაცხადა გილაურმა თუმცა, აღნიშნა, რომ გამორიცხული არაფერია.

გრიგოლ ქათამაძის „საქართველოს ბანკში“ ერთ-ერთ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით ინფორმაცია რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა.

ინტერპრესნიუსი

**საზოგადოება**

# „მეგობრების თანადგომა გვჭირდება, განსაკუთრებით ევროპასა და რუსეთში“

*მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ განზრახული აქვს განამტკიცოს დემოკრატია საქართველოში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომელშიც, ევროსაბჭოს დამკვირვებელთა აზრით, აღინიშნა დარღვევები და ოპოზიციის პარტიებისთვის უთანასწორო პირობები. საზოგადოების პოლიტიკური პლურალიზაცია ნოემბერში გამოვლინდა ოპოზიციის მასობრივი გამოსვლების დროს, რომლებიც სასტიკად ჩაახშვეს. ხელისუფლებამ დროებით საგანგებო მდგომარეობა შემოიღო და ოპოზიციური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დახურა. პოლიტიკური კრიზისის გადასაჭრელად ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა. ოფიციალური მონაცემებით პირველ ტურში გაიმარჯვა მოქმედმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. ოპოზიციამ მისი გამარჯვება ლეგიტიმურად არ ცნო.*

**„ევრონიუსი“: ბატონო პრეზიდენტო, მოგესალმებით „ევრონიუსში“. ეს-ესაა იწყებთ ახალ საპრეზიდენტო ვადას არჩევნების შემდეგ, რომლის დონემაც იმედი გაუცრუა მთელ რიგ დამკვირვებლებს. რამ შეუშალა საქართველოს მთავრობას ხელი უფრო მაღალ დონეზე მოეწყო არჩევნები?**

მიხეილ სააკაშვილი: ამ არჩევნების მთავარ მიღწევად მიმაჩნია ის, რომ აქ პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო ორგანიზაციიდან იყვნენ დამკვირვებლები. მათი რიცხვი 900-ს აღემატებოდა და რეკორდული იყო არა მხოლოდ ჩემი ქვეყნისთვის, არამედ მთლიანად რეგიონისთვისაც. და პრაქტიკულად, მათ ყველამ აღიარეს, რომ არჩევნები პატიოსანი და სამართლიანი იყო, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყველაზე კონკურენციული საქართველოს ისტორიაში — არსებითად ჩვენს ისტორიაში საუკეთესო. შეიძლებოდა თუ არა, რომ ეს არჩევნები მსოფლიოში საუკეთესო ყოფილიყო? რა თქმა უნდა, არა, იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა დემოკრატია ვართ, თუმცა ფაქტად მიმაჩნია ის, რომ არჩევნების შედეგი პატიოსანი იყო.

**— არჩევნებში ოპოზიციამ საკმაო წარმატებას მიაღწია, იგი არ აღიარებს თქვენი გამარჯვების ლეგიტიმურობას. როგორ აპირებთ ქვეყნის გაერთიანებას ასეთ პირობებში?**

— ვფიქრობ რომ ქვეყანა საკმაოდ გაერთიანებულია. თუმცა ზოგიერთი რადიკალი, შესაძლოა, რაღაცას ამბობს, მაგრამ ოპოზიციის ლიდერებთან, ჩემი აზრით, მეტად კონსტრუქციული კონსულტაციები გვქონდა. უმთავრესი იყო ის, რომ უარყოფითი მოლოდინისა და პროგნოზების მიუხედავად, წინასაარჩევნო პერიოდმა მშვიდად და წყნარად ჩაიარა. არჩევნებმაც მშვიდად და წყნარად ჩაიარა, არჩევნების შემდგომი პერიოდი მეტად ცივილიზებულად წარიმართა. იყო სამშვიდობო მსვლელობები, უკმაყოფილების გამოხატვა, მაგრამ ეს არ გადაზრდილა უწესრიგობაში ან რაიმე ისეთში, რასაც ზოგიერთი წინასწარმეტყველებდა.

**— უნდა ველოდოთ თუ არა, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებიც ასევე „მშვიდად და წყნარად“ ჩაივლის?**

— თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური ლიდერების მრავალრიცხოვნობას და ჩვენს გემოვნებას საარჩევნო კამპანიებისა და დემონსტრაციების მიმართ, მთელ ქვეყანაში შეიძლება ემოციების კიდევ ერთ ამოფრქვევას ველოდოთ. თუმცა ეს პრეზიდენტის არჩევნებს ვერ შეედრება. საპარლამენტო არჩევნებში ხმას მისცემენ ვიღაცის სასარგებლოდ და არა ვიღაცის წინააღმდეგ ან კონკრეტული პიროვნებისა და მისი პროგრამის მხარდასაჭერად. პოლიტიკურ პარტიებში მრავალი აზრია და განსხვავებული კანდიდატების პაექრობა იქნება. საქართველო პლურალისტური დემოკრატიაა და ჩვენი რეფორმები მხოლოდ განმტკიცდება, თუ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები პლურალისტურ კონსენსუსს შეიმუშავებენ.

**— ხომ ვერ გრძნობთ თბილისსა და ევროპის დედაქალაქებს შორის კლიმატის ერთგვარად შეცვლას საქართველოში ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ?**

— დიახ, მიმაჩნია, რომ ნოემბრის ამბებმა ბევრი ადამიანი შეაშფოთა პესიმისტური პროგნოზებით იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო შეძლებდა დაეძლია ის, რაც მოხდა და მეტიც გაეკეთებინა, მაგრამ ამ არჩევნებმა, არჩევნების დროს საერთო კლიმატმა, არჩევნების შემდგომ მოვლენათა განვითარებამ ჩვენი მეგობრები კვლავ დაარწმუნა და სკეპტიკოსები დაამშვიდა — საქართველოს დემოკრატია ცოცხალია და მოქმედებს, მისმა განვითარებამ სიმწიფის უფრო მაღალ დონეს მიაღწია და მომავალში მის განმტკიცებას უნდა ველოდოთ და არა ახალ პრობლემებს.

**— რით ახსნით საქართველოში რუსეთის ბიზნესის გააქტიურებას ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობის დაქვეითების მიუხედავად?**

— ჯერ ერთი, ჩვენ რუსეთის ბიზნესისთვის დაბრკოლებები არასოდეს შეგვიქმნია. საქართველოში რუსეთის ბიზნესს მუდამ მივესალმებოდით და მომავალშიც მივესალმებით. სხვა საკითხია ის, რომ საქართველო მომხიბვლელი ადგილია ბიზნესისთვის. ეს ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის კორუფციის ყველაზე დაბალი დონით გამოირჩევა. ეს ევროპაში ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ქვეყანაა. არ უნდა დავუშვათ, რომ ეკონომიკურმა წინააღმდეგობამ დაანგრიოს რუსეთის და საქართველოს ხალხების ოდინდელი ურთიერთობა და ეს მომავალში ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესების საწინდარი უნდა გახდეს.

**— თქვენ ამბობთ, რომ გინდათ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესება. მოსკოვი თქვენგან კონკრეტულ ნაბიჯებს ელის. როგორი იქნება ეს ნაბიჯები?**

— ჯერ ერთი შეგვიძლია რუსეთის ბაზრის მიმართ ბოიკოტი გავაუქმოთ. ეს ხუმრობაა, შეიძლება ითქვას, ვინაიდან ახლა რუსეთში ქართულ საქონელზე სრული ემბარგო მოქმედებს. გვინდა რუსეთის ბაზარზე დაბრუნება, ჩვენი პროდუქტების გასაღების ტრადიციული ბაზრების აღდგენა, ჩვენი ადამიანებისთვის იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ გაემგზავრონ რუსეთში, დავიბრუნოთ რუსი ტურისტები დიდი რაოდენობით. რუსი ტურისტები ჩვენთან ახლაც ჩამოდიან, მაგრამ მათ დიდი რაოდენობით ველოდებით. ვფიქრობ, ამით შეიძლება დაწყება.

**— ახლა ყველაზე აქტიური მსჯელობის საგანია კოსოვოს შესაძლო დამოუკიდებლობა. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება სხვა გაყინული კონფლიქტები გაალვივოს, მათ შორის ის კონფლიქტები, რომლებიც საქართველოს ეხება. ემუქრება თუ არა ეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას?**

— ეს შეშფოთება ეფუძნება რუსეთიდან მთელ რიგ წინასწარ განცხადებებს იმის თაობაზე, რომ ამან შეიძლება საქართველოს ტერიტორიებისთვის პრეცედენტი შექმნას. მაგრამ ეს საშიშროება კვლავ გააქარწყლა საგარეო საქმეთა მინისტრის ლავროვის განცხადებამ. მან თქვა, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ აღიარებს საქართველოს ჩამოშორებულ ტერიტორიებს კოსოვოს გამო. ეს ბუნებრივია, თუმცა ამავდროულად რუსეთის ხელისუფალთა მხრიდან მეტად კეთილი და მეგობრული ჟესტია. მიგვაჩნია, რომ სეპარატისტები და განსაკუთრებით ისეთი ტიპის სეპარატისტები, რომლებიც ძალადობას და ეთნიკურ წმენდას მიმართავენ, საფრთხეს უქმნიან ყველას, მათ შორის რუსეთის ფედერაციას. მათგან დაცული არავინაა.

**— თქვენი პირველი ვადის დროს თვითაღიარებული ტერიტორიების მიმართ კონფლიქტი ვერ მოგვარდა. ახლა როგორ აპირებთ მის მოგვარებას?**

— ჩვენგან ძალის გამოყენებას ელიან, ჩვენ კი მუდამ გადაჭრით გამოვრიცხავთ ამას. ძალის გამოყენებას არ ვაპირებთ, პროვოკაციებს არ ვყვებით და სახეს ვინარჩუნებთ. ვფიქრობ, მრავალი მიმართულებით სამხრეთ ოსეთში პროგრესი გარდაუვალია, ადგილობრივ სეპარატისტთა ნაწილი პოზიციას იცვლის და ვუახლოვდებით მშვიდობის პარტიას, გახსნილობისა და დიალოგის პარტიას. აფხაზეთში სიტუაცია ეთნიკური წმენდის გამო უფრო რთულია. თუმცა, ვფიქრობ, რომ იქაც დადგა დრო გადასინჯონ პოზიცია და უფრო მოქნილად იმოქმედონ.

**— ბატონო პრეზიდენტო, ევროსაბჭოში ჩამოხვედით მრავალი ხალხის წარმომადგენლებისადმი მიმართვით. შეიძლება თუ არა ეს თქვენი გზავნილი მოკლედ ჩამოუყალიბოთ ჩვენს მრავალეროვნულ აუდიტორიას?**

— ეს სავსებით ცხადი გზავნილია: საქართველომ დიდ პროგრესს მიაღწია, საქართველოს კვლავაც სურს პროგრესის გზით სიარული. ჩვენ არ შევცვლილვართ, შეგვიძლია მრავალი მიღწევების შესახებ გიამბოთ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს მისაღწევი. ამისთვის მთელი მსოფლიო გაერთიანების თანადგომა გვჭირდება, განსაკუთრებით ჩვენი მეგობრებისა ევროპასა და რუსეთში. მხარში ამოგვიდექით და ჩვენც მხარი ამოგიდგებით.

EuroNews

№ 17. ოთხშაბათი, 30 იანვარი, 2008 წელი.

# რეალობა

● რისი მოწმეც გავხდი, ის იყო, რომ ლევან რამიშვილი იდეოლოგიურ საფუძველს აყალიბებდა განმარტების სახით, რამდენიმე ადრესატს ატყობინებდა აზრს, რომელიც შემდეგ სხვებმაც არაერთხელ გაახმიანეს – თუ როგორ უნდა გამართლებულიყო და რა შეიძლებოდა გამოყენებულიყო ასეთი აქციის მიზეზად, ანუ ეს იყო თავის მართლებისთვის იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა, რომელიც ცხადია, ვერავის ვერ არწმუნებდა ჭეშმარიტებაში. მათ ისიც არ იცოდნენ, რა ეთქვათ მას შემდეგ, როცა ტელევიზია დარბეული იყო და ისევ ლევან რამიშვილი აღმოჩნდა ის ადამიანი, ვინც ნამუსის მოწმენდას აპირებდა ამ აქციის დამგეგმავებისთვის. მაგრამ ცხადია, უშედეგოდ, რადგანაც მოსაწმენდიც არაფერი იყო



## ◎ ინფორმაცია

### ზეწოლა ჟურნალისტზე კუდელების ბრალდება

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ისძ თანამშრომლებს ჟურნალ „ღია ბოქლომის“ რედაქტორსა და „თანასწორობის ინსტიტუტის“ ზუგდიდელ ლიდერზე ილია ჩაჩიბაიაზე ზეწოლაში ადანაშაულებს.**

**როგორც ორგანიზაციიდან იტყობინებიან, ჩაჩიბაიას გამოსახულებით შიშველი ფოტოები უცნობმა პირებმა შენობებზე გააკრეს. პლაკატზე გაკეთებული წარწერის მიხედვით, ჩაჩიბაია კლიენტებს შეღავათიან ფასებში ინტიმურ მომსახურებას სთავაზობდა. იქვე მითითებული იყო ჟურნალისტის მობილური ტელეფონის ნომრები.**

**„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ცნობით, პლაკატების გავრცელებასთან დაკავშირებით ინფორმაცია ილია ჩაჩიბაიამ დილის ხუთის ნახევრისთვის ნაცნობისგან მიიღო. პირველი პლაკატი მან საკუთარი სახლის სადარბაზოში ჩამოხია, ხოლო შემდეგ ქალაქის ტერიტორიაზე 60-მდე ასეთი ფოტოს განადგურება მოუწია. დღის განმავლობაში ჩაჩიბაიას „ინტიმურ“ ტელეფონზე „კლიენტი“ მამაკაცები უკავშირდებოდნენ.**

**ილია ჩაჩიბაია პლაკატების იდეის ავტორად და შემსრულებლად კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ზუგდიდის სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების უფროსს ვახტანგ გაბელიას ასახელებს.**

**ჟურნალისტის განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნებამდე კუდ-ის სწორედ ეს თანამშრომელი ემუქრებოდა მას პლაკატების გავრცელებით, იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალ „ღია ბოქლომის“ გამოშვებას არ შეაჩერებდა.**

**ილია ჩაჩიბაია საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს მხარდაჭერას სთხოვს, ხოლო ხელისუფლებასა და შს სამინისტროს მოუწოდებს, თანამდებობიდან დაითხოვოს ის პირები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს საფრთხეს უქმნიან.**

ინტერპრესნიუსი

## ◎ კითხული კაცის აზრი

# სოსო ცისკარიშვილი: თბილისს სააკაშვილის სიტყვების აღარ სჯერა!

## მეორე ტურის გაუმართაობის მიზეზი გარიგებაა

***ჰაერში გამოკიდებული მეორე ტურის შემდეგ წინ საპარლამენტო არჩევნებია. კოალიციურ მთავრობაში გაერთიანებაზე უარით ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნებამდე კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნასა და საკანონმდებლო ბაზის დახვეწაზე ზრუნავს. თავის მხრივ, არანაკლები გარჯა ხელისუფლებასაც მოუწევს, რათა დარჩენილ ორ-სამ თვეში საკუთარი იმიჯი აღადგინოს.***

***რატომ არ გაიმართა მეორე ტური? ოპოზიცია და ხელისუფლება მართლა ერთმანეთს გაურიგდნენ, თუ დასავლეთი ჩაერია და საპარლამენტო არჩევნებზე გადაიტანეს აქცენტი? – ამ შეკითხვით მივმართეთ პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს.***

– მეორე ტურის გაუმართაობის არსებით მიზეზად გარიგება მიმაჩნია, ოღონდ არა ოპოზიციასა და ხელისუფლებას, არამედ ზოგადად, საერთაშორისო ინსტიტუტებს შორის. ვგულისხმობ როგორც სახელმწიფოთა მეთაურებს, ასევე, მათი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სახელით მოქმედ სადამკვირვებლო ჯგუფებს. ამ გარიგების მონაწილე ქართული მხრიდან, ჩემი აზრით, არც ხელისუფლება ყოფილა და არც ოპოზიცია.

მხოლოდ გარკვეული უსაფრთხოების ზეამოცანად ჩამოყალიბების პირობებში, მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ ზოგიერთ მოვლენაზე თვალის დახუჭვა ამ ეტაპზე შესაძლებელი ყოფილიყო.

**– რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ განაცხადა, რომ საჭიროა მზადება საპარლამენტო არჩევნებისთვის, სადაც ახალი პოლიტიკური ძალები მოვლენ და „ოპოზიცია საკმაოდ კარგ ხმებს მიიღებს“. საეჭვოდ დაგეგმილს ჰგავს ეს ყველაფერი, რომლის მიზანიც იქნებ სწორედ მეორე ტურის არგამართვაა?**

– ბატონი ბრაიზა ჩემთვის არ არის ჭეშმარიტების მღაღადებელი წყარო და არც დიდად დამოუკიდებელი პიროვნება, თუმცა, მას და მის მშვენიერ მეუღლეს ნეგატიური განვითარების მუხტი ნამდვილად აქვთ, და ამას მშვენივრად იყენებენ ისეთ შეხვედრებზე, რომლებიც ქართული მედია-საშუალებებისთვის ძნელად ხელმისაწვდომია. უწინარესად, ვგულისხმობ ქალბატონი ბარანის გამოსვლას ჰადსონის უნივერსიტეტში, სადაც ის ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიით ლაპარაკობდა და აუგად მოიხსენიებდა ოპოზიციას და, ასევე, ეჭვქვეშ აყენებდა საქართველოს ხელისუფლებაში რაიმე ცვლილებების პერსპექტივას. საქებარ სიტყვებს არ იშურებდა და, შეიძლება ითქვას, სადღეგრძელოებს წარმოთქვამდა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. რაც მთავარია, ამ ქალბატონმა ერთ-ერთ სტატიაში გამოავლინა გეოპოლიტიკური პერსპექტივის საოცარი ხედვა. ის ბრძანებს, რომ უკრაინას აღარ აქვს ნატოში შესვლის მომავალი. ცდილობს ამ უბადრუკი აზრის დამტკიცებას და პარალელურად ალტაცებულია ერთადერთი რეფორმატორული მთავრობის მქონე ქვეყნის – საქართველოს პერსპექტივით.

ასე რომ, ეს ყველაფერი ბრაიზასა და მისი მეუღლის კერძო ბიზნესის ლობირების თემა უფროა, ვიდრე ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის საკითხი. ამდენად, ამ ბედნიერ წყვილს ვაცალოთ საკუთარი ოჯახით ტკბობა და არც მათ გამონათქვამებზეა საჭირო სერიოზული ყურადღების გამახვილება.

**– სტრასბურგში პრეზიდენტის გამოსვლა არაერთგვაროვნად შეფასდა. იგი გააკრიტიკეს კიდეც, ხოლო ზოგიერთებმა მნიშვნელოვან სიტყვად მიიჩნიეს. თქვენ რას იტყოდით?**

– ამ შემთხვევაში მოხსენება არ არის არსებითი. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვინ არის მსმენელი. თუ მსმენელს არა აქვს საშუალება, საქართველოში განვითარებული მოვლენების დეტალებს იცნობდეს, იგი დარჩებოდა კმაყოფილიც და აღტაცებულიც. სააკაშვილის გამოსვლების გარეგნული ეფექტები საკმაოდ შთამბეჭდავია, ოღონდ განსხვავება ის არის, რომ თბილისს მისი სიტყვების აღარ სჯერა. სტრასბურგს, ვაშინგტონს, ბრიუსელს შეიძლება ეჭვი ეპარებათ, მაგრამ ძალიან უნდათ, რომ სჯეროდეთ. ასეთი დამოკიდებულება მუდმივი ვერ იქნება, რადგან იმის გარდა, რასაც ბატონი მიხეილი ბრძანებს სტრასბურგში, არსებობს კონკრეტული ნაბიჯებიც, რომელსაც ის დგამს კონკრეტული საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების პროცესში, რომლებიც უნდა შეფასდეს იანვარში, თებერვალში, და არავითარ შემთხვევაში არჩევნების წინა კვირას ან არჩევნების შემდგომ კვირაში.

**– მეტს არაფერს მიუმატებთ თქვენს ნათქვამს, თუნდაც იმაზე, რაც ოპოზიციასთან მიმართებაში გახმიანდა სტრასბურგში?**

– სტრასბურგში რამდენიმე შეფასება გახმიანდა, რასაც საქართველოში ველარ ამბობს, რადგან აქ პასუხის გამცემი ბევრი ჰყავს. სააკაშვილი ისევ და ისევ ლაპარაკობს იმაზე, რაც უნდა, რომ იყოს, მაგრამ არ არის. ხელისუფლება ჯერ კიდევ თავს იტყუებს, თითქოს ვინმეს სჯერა, რომ ჩვენი ქვეყნის ასეულობით ათასი მოქალაქე მშიერი კუჭის გამო გამოდის ქუჩაში. ეს პოსტულატი ხელისუფლებას ხელს აძლევს და ამით ჯერჯერობით ნაწილობრივ მაინც არწმუნებენ უცხოელებს; ჩამოვიდნენ და ნახონ, ძვირფასი ქურქით შემოსილი რამდენი მანდილოსანია ამ საპროტესტო აქციებზე, ნამდვილად დარწმუნდებიან, რომ ხალხს შიმშილის პრობლემა არ აწუხებს, რომ რეალურად ეს არის უსამართლობის, ძალადობის და სიყალბის წინააღმდეგ წარმოშობილი პროტესტი.

ასეთ ვითარებაში, ძალიან მნიშვნელოვანია 2-3-თვიანი წინასაარჩევნო პერიოდი, რას შეძლებენ ხელისუფლება და ოპოზიცია იმისთვის, რომ არჩევნები გამჭვირვალე და დემოკრატიული იყოს. ასეთად არც საზღვარგარეთელ დამკვირვებლებს შეუფასებიათ საპრეზიდენტო არჩევნები. ტერმინი „კონკურენტული“, რომლითაც ასე ამაყობს საერთაშორისო დამკვირვებელთა ინსტიტუტიც და ხელისუფლებაც, რასაკვირველია, სიმართლეა, ოღონდ კონკურენტულობა არა იმდენად ოპოზიციის დამსახურება იყო, რამდენადაც ხელისუფლების ბრალი, რადგან საკუთარი ქმედებებით საქართველოს მოსახლეობას დააკარგვინა პერსპექტივის რწმენა.

**– მოდით, ცოტა წარსულში გადავინაცვლოთ. ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის გამო თქვენ ტელევიზიით საინტერესო რამ განაცხადეთ, თითქოსდა, „იმედის“ დარბევის ბრძანება ლევან რამიშვილმა გასცა.**

– „ბრძანება“ ნამდვილად არ მითქვამს. რისი მოწმეც გავხდი, ის იყო, რომ ლევან რამიშვილი იდეოლოგიურ საფუძველს აყალიბებდა განმარტების სახით, რამდენიმე ადრესატს ატყობინებდა აზრს, რომელიც შემდეგ სხვებმაც არაერთხელ გაახმიანეს – თუ როგორ უნდა გამართლებულიყო და რა შეიძლებოდა გამოყენებულიყო ასეთი აქციის მიზეზად, ანუ ეს იყო თავის მართლებისთვის იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა, რომელიც ცხადია, ვერავის ვერ არწმუნებდა ჭეშმარიტებაში. მათ ისიც არ იცოდნენ, რა ეთქვათ მას შემდეგ, როცა ტელევიზია დარბეული იყო და ისევ ლევან რამიშვილი აღმოჩნდა ის ადამიანი, ვინც ნამუსის მოწმენდას აპირებდა ამ აქციის დამგეგმავებისთვის. მაგრამ ცხადია, უშედეგოდ, რადგანაც მოსაწმენდიც არაფერი იყო.

**– დაბოლოს, რას ფიქრობთ იმ მოსაზრების თაობაზე, რომ მინისტრთა ახალი კაბინეტის გამო სტრუქტურებზე „თავისუფლების ინსტიტუტის“ გავლენა შემცირდება?**

– ნაციონალური მოძრაობის კულუარულ პროცესებს ნაკლებად ვიცნობ. არც ის ვიცი, რომელია „თავისუფლების“ და რომელი „ბოროტების ინსტიტუტი“. სიმართლე გითხრათ, არც ვარ ამ საკითხით დაინტერესებული. მთავარია ის, რომ ცდილობენ იმ გუნდის გაკეთილშობილებას, რომლის საფუძველიც კვლავ ის ადამიანები არიან, რომელთა გაკეთილშობილებაც ვერ მოხერხდება. თუმცა, ახალ შემადგენლობაში მეგულება ღირსეული ადამიანები, რომელთაც პროფესიული წარსული და შეუბღალავი ადამიანური ბიოგრაფია აქვთ. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ისეთ ქვეყნად ვისურვებდი, სადაც ზაზა გამცემლიძე იქნებოდა მინისტრი და რეალურად განახორციელებდა თავის ხედვას. იმედი მაქვს, იგი მოახერხებს საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებას ისე, რომ სასიკეთო ნაბიჯები გადაიდგმება. თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ მისი ყველა პროფესიული ინიციატივა მისაღები იქნება იმ მთავრობისთვის, რომლის ეკონომიკურ საქმიანობასაც და გონებასაც რეალურად ბატონი კახა ბენდუქიძე წარმართავს.

მან ოფიციალურად დაიმკვიდრა რუხი კარდინალის თანამდებობა და მილიონერის ტრანსფორმაციამ კანცელარიის გამგედ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მისი ფუნქცია სრულიად სხვა არის და ამ ფუნქციის განხორციელებაში საჭიროა ერთი რამ, ის უბრალოდ იყოს შენობაში, სადაც გადაწყვეტილებებს იღებენ. გულთამპყრობლის სტატუსი მას დარჩა, მით უმეტეს, ისეთი პრემიერის აზროვნების პირობებში, რომელიც ვერ მალავს აღტაცებას თავისი მძიმეწონიანი მასწავლებლის მიმართ.



ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი.**

№ 17. ოთხშაბათი, 30 იანვარი, 2008 წელი.

# ძიძგი-ძიძგი

**გვინდა ეს თუ არ გვინდა, და რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, არაო, აშკარაა, რომ ჩვენი საზოგადოება კარგა გვარიანად არის ორად გახლეჩილი. წყალგამყოფია სიყალბე, რომელიც აუტანელი და გაუსაძლისია იმ სინამდვილის თუ ნამდვილის ფონზე, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, ყველამ ერთად ვაშენეთ ბოლო მძიმე წლებში**




◎ ალიან-ჩალიანი

## სამოქალაქო აქტები ელექტრონულად

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში სამოქალაქო აქტები (დაბადება, მამობის დადგენა, ქორწინება, განქორწინება, შვილად აყვანა, სახელის, გვარის და მამის სახელის შეცვლა, გარდაცვალებაძ და შესაბამისი რეგისტრაციის მოწმობები ელექტრონული სახით შეივსება და დაიბეჭდება.

ამ დრომდე სამოქალაქო აქტები და შესაბამისი მოწმობები ხელით ივსებოდა.

ახალი მომსახურების პრეზენტაცია გუშინ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ დიდუბე-ჩუღურეთის ტერიტორიულ სამსახურში გამართა და მოქალაქეებს დოკუმენტები საზეიმო ვითარებაში პირადად გადასცა. ელექტრონული სახით დაბეჭდილი ერთ-ერთი პირველი დაბადების მოწმობა ახალშობილი თიკა კანდელაკის მშობლებს გადაეცათ, ხოლო ქორწინების მოწმობა თინათინ კვესელავასა და გრიგოლ სხულუხიას წყვილს.

როგორც გიორგი ვაშაძემ აღნიშნა, საქართველო მეზობელ სახელმწიფოებს შორის პირველი ქვეყანაა, რომელიც მოქალაქეებს ასეთ მომსახურებას სთავაზობს.

აღნიშნული პროგრამის დანერგვით მოქალაქეთა მომსახურებას გაცილებით მცირე დრო დასჭირდება, მინიმუმამდე შემცირდება მექანიკური შეცდომების ალბათობა; შეიქმნება მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა მარტივი საძიებო სისტემით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ამ ბაზით თითოეული ოჯახის ისტორიას ვქმნით, – აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

## ჭორ-მართალი ტერმინალის ირგვლივ

ყულევის ნავთობტერმინალის ექსპლუატაციაში გაშვება დღეების ამბავია, ხოლო ტერმინალთან დაკავშირებით აჟიოტაჟი გაუგებრობას უკავშირდება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განუცხადა.

მთვრალაშვილის თქმით, მას ჰქონდა შეხვედრა „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ხელმძღვანელებთან და ისინი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერმინალის ექსპლუატაციაში გაშვების შეფერხებაში არ ადანაშაულებენ.

ეს ძალიან მასშტაბური პროექტია, ჩატარდა დიდი სამუშაოები და ტერმინალის გაშვება სხვადასხვა დეტალთან არის დაკავშირებული, – აღნიშნა ნავთობპროდუქტების კავშირის თავმჯდომარემ. მისი თქმით, წელიწადში ყულევის ტერმინალის დატვირთვა 12 მლნ ტონას შეადგენს.

საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყულევის ტერმინალის მფლობელი ქართულ-აზერბაიჯანული კომპანია „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ტერმინალის გახსნას საქართველოს მთავრობა სამთავრობო ცვლილებების მოტივებით აჭიანურებს. სამინისტროს ცნობით კი, კომპანიას ობიექტის ექსპლუატაციაში გასაშვებად სამინისტროსთვის არ მიუმართავს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ჭირი დანახული სჯობს

# სირცხვილია, ხალხო, როდემდე უნდა ვაძიძგილაოთ ყვინჩილებივით ეს ავად პოლიტიკანაყლაპი ჩვენი გოგო-ბიჭები?!

რასაკვირველია, დღეს უფრო მეტი მუდმივი სინათლეა, ვიდრე გუშინ იყო, ამიტომ ბევრი რამ უკეთესად ჩანს, თუნდაც თეთრი და შავი; რასაკვირველია, დღეს უფრო მეტი მოკირწყლული გზაა, ვიდრე გუშინ იყო, ამიტომ ბევრად უფრო შორს წავედით, ისევ კარგისა და ცუდის თვალსაზრისით; რასაკვირველია, დღეს მეტი საზოგადოებრივი წესრიგია, ვიდრე გუშინ იყო, ამიტომ უკვე აუტანელია მცირე უწესრიგობაც კი; რასაკვირველია, ეგრეთ წოდებულმა ეროვნულმა გამოცდებმა თითქმის სრულიად გამორიცხა სიყალბე განათლებაში, ანუ ფულიანი მშობლების ყალბად განათლებული შვილების უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის შანსი, რაც, ცხადია, მუდმივ სინათლესთან, მოკირწყლულ გზებთან და საზოგადოებრივ წესრიგთან ერთად მოვინაგრეთ... და ყველა ხედავს, მტერიც და მოყვარეც, ვინც დამოუკიდებელი, თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს ან აშენებს, ანდა ხელს უშლის... რომ ფრენა მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი ფრთებით შეიძლება, ყალბი ფრთებით ჯერ არავის უფრენია, არც ყალბი სინათლით განათებულა რამე, არც ყალბი გზებით უვლია ვისმე, არც ყალბი წესრიგით დამყარებულა საზოგადოებრივი სიმშვიდე...

მაგრამ დიდად და დიდად სამწუხაროდ, აგერ 5 იანვარს, მართლაც რომ საუკუნის გაყალბების მოწმენი გავხდით... რომელმა გაყალბებამაც ლამის წყალში ჩაყაროს ყოველივე, რასაც თითქოს მივაღწიეთ და რაც სატრაბახოდ და თავის მოსაწონებლად გაგვიხდია. ამ სიყალბის გამო ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის თვალში დღეს საქართველოს ჰყავს ყალბი ხელისუფლება და, რაც ყველაზე უფრო გულსატკენი და გამაოგნებელია, ყალბი პრეზიდენტი, და კიდევ უფრო უარესი ის არის, რომ ამ ყალბ, ანუ ეგრეთ წოდებულ არალეგიტიმურ პრეზიდენტს და ხელისუფლებას ჰყავს ყალბი დამცველი პოლიტიკანაყლაპ გოგო-ბიჭთა ლაშქარი, რომელსაც უპირისპირდება ამ გაყალბების მოწინააღმდეგე ასევე პოლიტიკანაყლაპ გოგო-ბიჭთა მეორე ლაშქარი...

გვინდა ეს თუ არ გვინდა, და რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, არაო, აშკარაა, რომ ჩვენი საზოგადოება კარგა გვარიანად არის ორად გახლეჩილი. წყალგამყოფია სიყალბე, რომელიც აუტანელი და გაუსაძლისია იმ სინამდვილის თუ ნამდვილის ფონზე, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, ყველამ ერთად ვაშენეთ ბოლო მძიმე წლებში.

ჩვენი საზოგადოება კი რომ ნამდვილად გახლეჩილია, რაც კარგს არაფერს არ გვიქადის, აშკარა ხდება თუნდაც ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს ჩვენი პირმწყაზარი პოლიტიკური რეფერის ინგა გრიგოლიას „პრაიმ ტაიმით“, რაც საუკეთესო დროს ნიშნავს და, ჩემი აზრით, სულაც არ გამოხატავს სინამდვილეს. მე ამ გადაცემას უფრო „ინგას რინგს“ დავარქმევდი, თუნდაც იმიტომ, რომ, რაც 28 იანვარს ვნახე, ორშაბათს, როცა ცოტას გაწყდა, დაკა-დაკა და მუშტი-კრივი არ გაიმართა გადაცემაში ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ჯგუფად მიწვეულ ყვინჩილა ახალგაზრდებს შორის...

## ინგას რინგი

ყოველივე ამას კი, ამ საშინელ სამოქალაქო დაპირისპირებას, ნამდვილად ხელს უწყობენ ის უფროსი თაობის უდავოდ ანგარებიანი ადამიანები (ერთი და იგივეძ, რომლებიც, როგორც იტყვიან, ოქროს შუალედს კი არ ეძებენ მხარეთა შესარიგებლად, არამედ ესოდენ გაძვირებულ გაზს კიდევ უფრო გაძვირებული ელექტროდენის ნაპერწკლით აფეთქებენ. ასეთ თავგადაკლულ „ამფეთქებელთა“ შორის ყოველთვის გამორჩეულად მოჩანს ბათუმელი დეპუტატი ეკა ხერხეულიძე, რომელსაც როგორც ჩანს, სწორედ იმიტომ იწვევს ქალბატონი რეფერი ინგა ასე ხშირად თავისი გადაცემის რინგზე, რომ მეტი სიმწვავე და ინტრიგა შესძინოს თავის თოქშოუს... თორემ, ნუთუ საქართველოში დეპუტატ ხერხეულიძისა და გუბერნატორ ხაჩიძის მეტი არავინ არ არის ამჟამინდელი ხელისუფლების უფრო გონიერი დამცველი, ვინც თავისიანების ერთგულ მომხრედაც დარჩება, მაგრამ თეთრზე თეთრს იტყვის და შავზე შავს, რაც ბევრად უფრო წაადგება ჩვენს აბარგანავებულ ქვეყანას.

არადა, როგორც ვხედავ, ეს სიყალბე ვერ განამდვილდება. ჩვენი ასი ათასობით ღირსებაშელახული და შეურაცხყოფილი მოქალაქე თავისას ასე ადვილად არ დათმობს. ხალხს არ უნდა, რომ შიშველი მეფე ჰყავდეს, ან თვითონ მეფეს რად უნდა, რომ შიშველმა იმეფოს?! სხვა არა იყოს რა, გაცივდება... ნუთუ ასე ძნელია საეჭვო ბიულეტენების ხელახლა გადათვლა და ვიდეოთვალით დანახაულის ხალხისთვის დანახვება. მაშ, რიღასთვისღა გვეყენა ის ვიდეოკამერები?! ერთი სიტყვით, ამ საქმეში ჯორივით უცილობლობას მხოლოდ თვითონ გაჯიუტებული ჯორის გადაჩეხვა თუ მოჰყვება...

რაც შეეხება თვითონ ამ სახელწოდებას, თოქშოუს ხსენებისას ყოველთვის ყურში ჩამესმის თავწართმეული სახედრის გაავებული პატრონის შეძახილი: თოქშ! თოქშ! თოქშ! ხოლო თვითონ „პრაიმ ტაიმის“ დროს, როცა ზოგიერთი ყალბად თავგამოდებული მონაწილე თავს აიწყვეტს და უაზროდ და მლიქვნელურად ღერღავს ერთსა და იმავეს, მე თვითონ ვყვირი: თოქშ! თოქშ!.. თოქშ!..

**გურამ წიკლაური**

# საქმე იმიტომ უფროა ცუდად...

***პატივცემულო რედაქცია, გუშინ, 28 იანვარს, ინგა გრიგოლიას „პრაიმ ტაიმს“ ვუყურე. სწორედ ამ გადაცემასთან დაკავშირებით უნდა გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრება.***

***არა, არც ამ გადაცემის საწინააღმდეგო მაქვს რამე განსაკუთრებით და, მით უფრო, არც ქალბატონი ინგასი.***

***პირიქითაც არის: ხშირად მოუთმენლადაც ველი ორივეს ტელეეკრანზე. ახლაც საოცრად ცუდად მახსენდება საგანგებო მდგომარეობის დღეები, როდესაც ტელევიზიებს დებატები და კამათი კი არა, ფაქტობრივად, საინფორმაციო გადაცემებიც არ ჰქონდათ.***

***მაშ, რამ გადამაწყვეტინა რედაქციისთვის ამ წერილის გამოგზავნა?***



უწინარესად და მხოლოდ გადაცემაში მიწვეული იმ მამლაყინწებივით წამოქოჩრილი ახალგაზრდების დაპირისპირებამ, რაც „პრაიმ ტაიმს“ მუდამ ახლავს და ყოველთვის მზარავს ხოლმე.

სწორად გამიგეთ, ახალგაზრდების ინერტულობისა და ყველაფრისადმი მათი გულგრილი დამოკიდებულების მომხრე კი არ ვარ, მაგრამ არც ახალგაზრდული სილაღისა და ტემპერამენტის სხვა დანიშნულებით გამოყენება მომწონს.

აქეთ სტუდენტთა ახალგაზრდული კავშირიო, იქით სტუდენტთა ლიგაო, კიდევ უფრო იქით – ამა და ამ პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციაო და...

მერე ქალბატონი ინგაც ხშირად იწვევს ხოლმე დაპირისპირებული ახალგაზრდული ფრთების წარმომადგენლებს პოზიციისა და ოპოზიციის მხარდამჭერტაშის დამკვრელებად და...

**დარბაზი ორად გაყოფილია, ჩვენი ეგნატე, თქვენი ილია** (მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, იქნებ ზუსტად არ მახსოვს და ასე უნდა იყოს – აქეთ ეგნატე, იქით ილიაძ...

ეს გასული საუკუნის დასაწყისში იყო. ოღონდ ამ ლექსით მწერლობის გამო, ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, ორი მწერლის – ეგნატე ნინოშვილისა და ილია ჭავჭავაძის ფანატთა დაპირისპირება იყო გამოხატული.

ახლა კი პოლიტიკაა განხეთქილების ვაშლი. პოლიტიკური თვალთახედვა-პოზიციის განსხვავებულობის გამო დაძაგრულან და წამოქოჩრილან ახალგაზრდები.

**არ ვარგა ეს. უფრო მეტიც – ცუდია, ძალიან ცუდია ეს.**

**და ძალიან ცუდზე კიდევ უფრო ცუდია, თუ ბევრ მოზრდილს არ ესმის და ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია ახალგაზრდათა ამგვარი დაპირისპირება.**

**მაშინ კი, პოეტის თქმისა არ იყოს, საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა.**

**ცისანა ჩქარეული,**
**გორი, პედაგოგი**

# სატკივარი

● რატომ დასჭირდათ ჩვენს მეგობარ ამერიკელებს მსოფლიოსთვის საქართველო „ურმების ქვეყნად“ წარმოედგინათ და რას ზეიმობენ ჩვენი ხელისუფალნი? ურმებს თუ ასფალტის გზაზე ვატარებთ, ვითომ დიდი შეღავათია?




## ◎ რა დღეშიც ვართ!

# რომ აშენო, უნდა იცოდე...

ხელისუფალი აცხადებს, რომ თურმე ოთხ წელიწადში სახელმწიფო აუშენებიათ. აშენებას ცოდნა უნდა, ცოდნას კი განათლება. ასე ბრძანა სტალინმა კარგა ხნის წინათ. შესაბამისი ლოზუნგიც კი იყო გამოკრული სკოლებში: „რომ აშენო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო!“

ცოდნა-განათლება რომ ჩვენს ხელისუფალთ არა აქვთ, ქვეყანას ნამდვილად ეტყობა, თუმცა საკუთარი სრა-სახლების აშენებაში ტოლს არვის უდებენ.

ქვეყანა კი ისე გაძარცვეს, რომ არც ავ თვალს დაენახება და არც კეთილს. განა უგემოვნო შადრევნები და უხარისხო გზები ქვეყნის ასაშენებლად საკმარისია?

საინაუგურაციო მოხსენებაში ბატონ მიხეილ სააკაშვილს არაფერი უთქვამს არც განათლებაზე, არც მეცნიერებაზე და არც კულტურაზე. მას ეს სფეროები სულაც არ აინტერესებს, ალბათ საკუთარი განათლებისა და კულტურის დონიდან გამომდინარე, თუმცა, დედამისის და ბაბუამისის პროფესორობით ხშირად იწონებს თავს.

ახალი ქვეყნის მშენებლობა სტალინმა იმით დაიწყო, რომ განაცხადა: „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“, სხვათა შორის, ატომური ენერგიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს კურჩატოვს პერსონალური ხელფასი – 20 ათასი მანეთი დაუნიშნა, პროფესორებს კი – 500, ეს მაშინ, როცა საკავშირო მინისტრების ხელფასი 300 მანეთს არ აღემატებოდა.

სწორედ ამიტომ ქვეყნის უნიჭიერესი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ფიზიკა-ტექნიკური განათლებისკენ გადაიხარა და რამდენიმე წელიწადში არა მარტო ატომური ბომბი შექმნეს, წყალბადის მძლავრი ბომბის შექმნაც შესძლეს ამერიკულ წყალბადის ბომბის შექმნამდე. სწორედ ფიზიკა-მათემატიკური და სამხედრო-ტექნიკური მეცნიერებების განვითარებამ მიიყვანა საბჭოთა კავშირი პირველ ხელოვნურ თანამგზავრამდე და პირველ კოსმონავტამდე.

შენებას მართლაც ცოდნა უნდა, ცოდნას კი განათლება სჭირდება

მართალია, შემდეგ ამერიკელებმაც ივაჟკაცეს და საბჭოეთს კარგადაც გადაუსწრეს, მაგრამ მათ ეს არა მარტო უცხოეთიდან შემოყვანილი მეცნიერებით, არამედ განათლების სისტემის გარდაქმნითაც შეძლეს. სწორედ გასული საუკუნის სამოციან წლებში შეიქმნა ამერიკული სახელმძღვანელოები როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი სასწავლებლებისთვის. მათი მძლავრი სახელმწიფოს შექმნაში მიღწეული შედეგების საფუძველი სწორედ უმაღლესი სასწავლებლების მაღალი დონეა.

ჩვენთან კი ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ განადგურებულიყო განათლება და მეცნიერება. ხელისუფლების მხრიდან არც თუ იშვიათად გაისმოდა, რომ „მეცნიერება საქართველოსთვის ფუფუნებაა(?!)“. მეცნიერებათა აკადემიას ინსტიტუტები ჩამოართვეს და აკადემიკოსები პენსიონერები (თუმცა, შედარებით მაღალანაზღაურებადი) გახადეს. რაც შეეხება დანარჩენ მეცნიერებს, მათი აბუჩად აგდება დაპირებული გრანტებით გრძელდება. მეცნიერთა უდიდეს ნაწილი ან საზღვარგარეთ გაიქცა, ან წვრილ ბიზნესს მიჰყო ხელი, ან შიმშილით გარდაიცვალა. რამდენიმემ თვითმკვლელობითაც კი დაამთავრა სიცოცხლე...

რაში დასჭირდა ჩვენს ხელისუფალთ განათლების სისტემის მოშლა?

ეს ჯერ კიდევ 1992 წელს დაიწყო, როდესაც ამერიკის საელჩოს ატაშემ ბატონმა ჰაჩისონმა პირად საუბარში (მაშინ განათლების მინისტრის მოადგილე ვიყავი) განმიცხადა: „თქვენ განვითარებადი ქვეყანა ხართ და სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოსო(?!)“

„განა ჩვენ ექიმები არ გვჭირდება, განა ჩვენთან ოპერაციები არ ტარდება?“, – ვკითხე გაოცებულმა.

„როგორ შეიძლება თქვენთან ოპერაციების ჩატარება? თქვენთან მხოლოდ აცრების ჩატარება შეიძლება“, – მიპასუხა დაჯერებით ჰაჩისონმა.

„რა ქნან ჩვენმა ავადმყოფებმა? აცრები უშველით?“

პასუხი დამრიგებლური გამოდგა: „ავადმყოფები ჩამოვიდნენ ჩვენთან და ვუმკურნალებთ. ზოგჯერ წითელი ჯვრის ხაზით ექიმებსაც გამოგიგზავნით“.

„როდესაც ქვეყანაში მოდიხართ, რამე მის შესახებ უნდა წაიკითხოთ და შემდეგ დაგვმოძღვროთ“, – ვუთხარი და საელჩო დათრგუნულმა დავტოვე.

„ნუთუ ამ განვითარებადი ქვეყნის სტატუსს უნდა შეეწიროს ქართველი ერის განათლება, მეცნიერება და კულტურა? ნუთუ ზამბიისა და კამბოჯას ბედი გველის?“, – გავიფიქრე უარესის მოლოდინში.

უარესიც მალე დადგა და შევარდნაძის რეფორმებმა დაანგრიეს სკოლაც, მეცნიერებაც და კულტურაც. ეს ნგრევა კიდევ უფრო გაძლიერდა სააკაშვილის მოსვლისას. რის შენებაზეა ლაპარაკი?

პოლიცია და მთელი სამართალდამცავი სისტემა როგორც ააშენეს, ხალხმა კარგად გამოსცადა საკუთარ თავზე. უსამართლობაც ბევრჯერ ვიგემეთ და კორუფციის სუსხიც... მთავარი კი არაპროფესიონალიზმი და გაუნათლებლობაა. ეს კი ძალია რთული პრობლემაა და მისი გადაწყვეტა განათლების სისტემის მთლიან რეორგანიზაციას მოითხოვს. სახელმწიფოს შენება კი ცოდნის მიღების შემდეგ უნდა დავიწყოთ.

განათლების სისტემა და მეცნიერების დონე მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან, ხოლო განათლებისა და მეცნიერების კრიზისი დამღუპველად მოქმედებს ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ვითარებაზე. აუცილებელია სასწრაფო, გადამჭრელი ზომების მიღება, რათა შევძლოთ მეცნიერებისა და განათლების გადარჩენა. მეცნიერება და განათლება ერის მომავალს განსაზღვრავს და ამდენად მის სასიცოცხლო ინტერესებში შედის.

რა განათლების სისტემა გვჭირდება და რატომაა უმაღლესი და საშუალო სკოლების განათლების არსებული კანონები მიუღებელი სწორედ ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე?

1991 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს ესტუმრა ისრაელის განათლების სამინისტროს ოთხკაციანი ჯგუფი და მე, როგორც განათლების მინისტრის მოადგილეს, მათი მიღება დამევალა. ვიკითხე, „როდესაც თქვენი ქვეყანა ახლადშექმნილი იყო, განათლების სისტემის არჩევისას, რომელი ქვეყნის განათლების სისტემა აირჩიეთ-მეთქი?

დელეგაციის ხელმძღვანელმა მიპასუხა: „ჩვენ შევისწავლეთ რამდენიმე ქვეყნის განათლების სისტემა, საბჭოური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, იაპონური და სხვა ქვეყნების განათლების კანონები და მივხვდით, რომ არც ერთი განათლების სისტემა ჩვენ არ გამოგვადგებოდა, რადგან ჩვენ ებრაელები ვართ!“

გენიალური პასუხია.

ისევ ვკითხე: – „მაინც რა ძირითადი განსხვავებაა თქვენსა და ვთქვათ, ევროპული განათლების სისტემებს შორის?“

„ერთ-ერთი განსხვავება ის არის, რომ ჩვენი სამინისტრო მკაცრად აკონტროლებს მასწავლებლების მიერ დაწერილი შეფასებების სისწორეს. ამისთვის, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სკოლებში ვაგზავნით კომისიებს, რომლებიც ამოწმებენ ბავშვების განვლილი მასალის ცოდნას და თუ აღმოჩნდა, რომ მასწავლებლის შეფასება არ ემთხვევა კომისიის შეფასებას, მასწავლებელი კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე იგზავნება, რომელსაც მისი მკაცრი გამოცდა მოსდევს. ამიტომ, მასწავლებელს არასწორი შეფასების ძალიან ეშინია“.

ამრიგად, ისრაელში მთავარი ცოდნის ზუსტი შეფასებაა, რათა სახელმწიფო ატესტატებსა და დიპლომებს ენდოს. ჩვენთან კი, საშუალო სკოლის ატესტატშიც კი გაქრა შეფასებები და რა შემოწმებებზეა ლაპარაკი?

დაახლოებით იმავე დროს, მოსკოვის ტელეარხის ინტერვიუში ნობელის პრემიის ლაურეატს, ეკონომისტ ლეონტიევს რუსი კომენტატორი ეკითხება: „რუსეთისთვის რომელი ეკონომიური პოლიტიკა იქნებოდა უმჯობესი – ამერიკული, იაპონური თუ გერმანული?“

ლეონტიევის პასუხი იყო: „მე იაპონურ ეკონომიკურ პოლიტიკას ავირჩევდი, მაგრამ ამისათვის რუსეთში მხოლოდ იაპონელები უნდა ცხოვრობდნენ!“

ისევ გენიალური პასუხი!

ალბათ ხვდებით, თუ რატომაა უვარგისი დღეს მოქმედი კანონები. ეს კანონები უგულებელყოფს ქართველთა ტრადიციებს, ეროვნულ თვითმყოფადობას და ამდენად სრულიად მიუღებელია ჩვენი საზოგადოებისთვის და ქართველი ერის განათლებისა და მეცნიერების სრულ განადგურებას იწვევს.

როგორ მოვედით განათლების ამ სისტემამდე?

ელექტრონულ მისამართზე http.www.rti.org გაჩნდა ინფორმაცია: „ამბიციური საგანმანათლებლო რეფორმა საქართველოში“, რომლის თანახმად განათლების რეფორმის წარმართვაში საქართველოს ეხმარება RTI (Research Triangle Institute), ინსტიტუტი, რომელიც დაარსდა 1958 წელს აშშ-ს სამი უნივერსიტეტების ბაზაზე. ამ ინსტიტუტის პროგრამაა „საქართველოში საშუალო განათლების გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა“ (GEDA), რომელსაც მხარს უჭერს „აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო“ USAID-ი.

თურმე RTI საქართველოს ეხმარება: განათლების გაუმჯობესებაში, ხარისხის შეფასების დამკვიდრებაში არსებული სტანდარტების მიხედვით და განათლების მართვის უნარის ჩამოყალიბებაში ადგილობრივ დაინტერესებულ პირთათვის.

ინფორმაციაში მოყვანილია ფოტო „ურემი“, რომელსაც შემდეგი წარწერა ამშვენებს: „ინფრასტრუქტურა საქართველოში საგანგაშოდ დაკნინდა 1991 წელს სსრკ-დან მისი გამოსვლის შემდეგ.“

საქართველოში RTI მუშაობს ე. წ. „საგანმანათლებლო რესურსების ცენტრების“ (ERC) ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც დახმარებას გაუწევენ ქვეყანას ყველა სკოლის დაქცევაში.

როგორც ამ ინფორმაციაშია აღნიშნული, „საქართველოს ზოგადი განათლების ახალი კანონის შემუშავება მოხდა სწორედ RTI-ს დახმარებით და ითვალისწინებს იმ უკიდურეს საჭიროებას, რომ საზოგადოებამ აქტიური როლი შეასრულოს განათლების დაფინანსების პრობლემების გადაჭრასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. კანონი განსაზღვრავს თითო სულზე ცენტრალური მთავრობის მიერ გაღებული წილის ოდენობას, რასაც ემატება ადგილობრივი რესურსები; კანონი აგრეთვე მოითხოვს სისტემებისა და პროცედურების ანგარიშების გამჭვირვალობას.“

ისე, სულ ტყუილად ჰგონიათ ამერიკელებს, რომ ჩვენი ხელისუფლება მათ მოთხოვნებზე მეტ თანხას გაიმეტებს განათლებისთვის.

ინტერნეტის ამ ინფორმაციის თანახმად, RTI-ს ანალოგიური პროგრამები აქვს ლათინურ ამერიკაში (პერუ), აზიაში (კამბოჯა, ინდონეზია, პაკისტანი), აფრიკაში (გვინეა, ნიგერია, სენეგალი და სამხრეთ აფრიკა), ხოლო ევროპიდან ეს „ბედნიერება“ მხოლოდ ჩვენ, საქართველოს გვერგო!!!

მთავარი კი ისაა, რომ საქართველოში მიმდინარე პროგრამა იმ პროგრამების ზუსტი ანალოგია, რომლებიც კამბოჯასა და პაკისტანში მიმდინარეობს.

ამ მიზნის მიღწევა ჯერ კიდევ 1995 წელს საქართველოს კონსტიტუციის მიღებით იყო განსაზღვრული. მაგრამ კონსტიტუციის 35-ე მუხლი, რომელიც განათლებას ეხებოდა, შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „სახელმწიფო უზრუნველყოფს ცხრაწლიან განათლებას“. მართალია მაშინ განათლების სამინისტრომ დაწყებითი განათლება 6 წლამდე გაზარდა, მაგრამ პარლამენტს 6 წელი ეცოტავა და დიდი დებატების შემდეგ სახელმწიფო დაფინანსება 9 წლამდე გაზარდა, სამაგიეროდ, სახელმწიფო საშუალო და უმაღლესი სკოლა კონსტიტუციური კანონით უნდა გამქრალიყო!!!

მაშინ დავწერე პირველი ერთგვერდიანი პროკლამაციური სტატია „გაუნათლებლობის სინდრომი“ და ჩემს ნაცნობ პარლამენტარებს დავურიგე. ჩანდა, რომ უცხო ძალა კვლავ იმარჯვებდა, მაგრამ საბედნიეროდ, შუა აზიაში მივლინებიდან დაბრუნდა პარლამენტის სპიკერი პროფესორი ვახტანგ გოგუაძე და სწორედ ამ დიდებულმა ადამიანმა და მეცნიერმა შესძლო ქალბატონ რუსუდან ბერიძესთან ერთად „საიდუმლო“ სარედაქციო შესწორებად გაეგრძელებინა კონსტიტუციის მუხლის ფორმულირება: „სახელმწიფო შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს საშუალო და უმაღლეს განათლებას“.

მაშინ ბატონ ვახტანგისა და ქალბატონ რუსუდანის გმირობით ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ ამ „სარედაქციო შესწორებამ“ უნივერსიტეტების დახურვა მხოლოდ 10 წლით გადასდო. დღეს ისინი მხოლოდ ფორმალურად არიან წარმოდგენილნი, ხოლო საშუალო სკოლებს სიტყვა „საშუალო“ ჩამოაცილეს და „საჯარო სკოლებად“ გადააკეთეს, რომლებსაც თანდათან მხოლოდ დაწყებითი განათლების კლასები შერჩებათ.

2004 წელს კვლავ დავმარცხდით და „პარტიულმა ნებამ“ გაიმარჯვა: მიღებული იქნა RTI-ს მიერ დამუშავებული კანონი განათლების შესახებ, რომელსაც თავის დროზე ცხონებული დიდებული ადამიანი და მეცნიერი აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი ეწინააღმდეგებოდა. როცა მისი ადგილი პარლამენტში ნოდარ გრიგალაშვილს ხვდა წილად, RTI-ს გამარჯვება უკვე გარდუვალი გახდა.

დღეს უკვე სტუდენტიც ხვდება, რომ განათლების რეფორმამ მთლიანად დაანგრია განათლების სისტემა და მისი აღდგენის იმედი უახლოეს 15-20 წელიწადში აღარ არის. სასკოლო სასწავლო პროგრამები, რომლებიც ამერიკელი ზანგებისა და პუერტორიკოელებისათვის განკუთვნილი ყველაზე დაბალი საგანმანათლებლო პროგრამების თარგმანია, ძველი საშუალო სკოლების მხოლოდ მეშვიდე კლასის დონეს თუ აღწევს, დიდი საქმეა. რაც შეეხება უმაღლესი სკოლის სასწავლო პროგრამებს, მისი დონე ძველი, კომუნისტური ტექნიკუმების დონესაც კი ვერ აღწევს, რადგან მეშვიდეკლასელის ცოდნით მოსული სტუდენტები, უნივერსიტეტის რეფორმების გადამკიდე, ტექნიკუმების დონესაც კი ვერ გასწვდებიან.

ეს ხელისუფლება კი რით ამაყობს? იმით, რომ RTI-ს მიერ შედგენილი განათლების კანონები პარლამენტს მიაღებინა უნივერსიტეტის პროფესორების ერთი ჯგუფის წინააღმდეგობის მიუხედავად? თუ იმით, რომ მსოფლიოში საქართველოს სავიზიტო ბარათი „ურემი“ გახდა?

რატომ დასჭირდათ ჩვენს მეგობარ ამერიკელებს მსოფლიოსთვის საქართველო „ურმების ქვეყნად“ წარმოედგინათ და რას ზეიმობენ ჩვენი ხელისუფალნი? ურმებს თუ ასფალტის გზაზე ვატარებთ, ვითომ დიდი შეღავათია?

ის ხომ არა, რომ ხალხი და ქვეყანა ისე დაბეჩავდა, რომ მას ვინმე უცხო ტომი სულ ადვილად დაიმონებს და რა მომავალს უქადის „ურმების განუვითარებელ ქვეყანას“, თუნდაც შადრევნებით შემკულს იმ დამანგრეველი რეფორმებით, რომლებიც ამერიკელებმა თავს მოგვახვიეს?

ის, თუ რა დღეშია დღეს ამერიკელი მეცნიერი, ამას მომავალში მოგითხრობთ.

**მერაბ ჯიბლაძე,**
„ქართული აკადემია“

# დღეს

● როცა გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია შევქმენით, გამრიცხველიანებასთან ერთად თანხების ამოღება ეტაპობრივად გაუმჯობესდა. საქართველო სწორედ ამ განვლილმა გზამ მიიყვანა იქამდე, რომ დღეს ელექტროენერგია იყიდება. მდგომარეობა სწორედ ამის ფონზე გაუმჯობესდა



**◎ შეწყალებული**

*როგორც ცნობილია, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 6 იანვარს პოლიტპატიმრები გაათავისუფლეს. „შეიწყალეს“ ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავაც.*

*იგი 2004 წელს დააპატიმრეს. თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება და თანხის უკანონოდ ხარჯვა ბრალდებოდა.*

*რამდენად კანონიერად იყო დაპატიმრებული? დაუშვა თუ არა შეცდომები და რა სასიკეთო პროექტები განხორციელდა მისი მინისტრობის პერიოდში? — აი, რა გვიპასუხა ამ კითხვებზე დავით მირცხულავამ:*

## დავით მირცხულავა: როგორც სახლი ვერ აშენდება უსაძირკვლოდ, ისე ჩვენი ენერგეტიკაც ვერ იქნებოდა დღევანდელ დონეზე, რომ არა ვარდების რევოლუციამდე გაწეული სერიოზული მუშაობა

**— იყო თუ არა თქვენთვის მოულოდნელი გათავისუფლება და მიიჩნევთ თუ არა თავს შეწყალებულად?**

— ამ ეტაპზე გათავისუფლებას ნამდვილად არ ველოდი. ამაში უდიდესი დამსახურება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს მიუძღვის. ჩვენი გათავისუფლება სწორედ მისი დაულალავი ღვაწლისა და შუამდგომლობის შედეგია. ბუნებრივია, ყველა იმ ადამიანის დამსახურებაც, რომლებიც, მთელი ამ პერიოდის მანძილზე, ჩვენი ყოფის შემსუბუქებას ცდილობდნენ.

**— რეალურად რა ბრალდება წაგიყენეს? პოლიტიკურ ანგარიშსწორებად ხომ არ მიიჩნევთ თქვენს დაპატიმრებას?**

— ეს ბრალდება სრულიად აბსურდული იყო. წარმოუდგენელია, არსებობდეს ეკონომიური დანაშაული და არ არსებობდეს დაზარალებული. ამაზე ყურადღების გამახვილება აღარ მსურს. ეს შეთითხნილი თემა იყო და საკომენტაროდაც არ ღირს.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ წვრილ-წვრილი დანაშაულის გამო სასჯელს ბევრი პატიმარი იხდის. თქვენი აზრით, რატომ დასჭირდა ხელისუფლებას ციხეების გადავსება, რა მიზანი ჰქონდა?**

— ვერ გეტყვით, რადგან ობიექტურ მიზანს ვერც მე ვხედავ. ფაქტია, რომ დღეს, სასჯელს მრავალი უდანაშაულო ადამიანი იხდის, თანაც — არაადამიანურ პირობებში. სწორედ ამის გამო, როგორც თავად იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, ახლა მეხუთე საპყრობილის დახურვას აპირებენ.

**— თქვენი მინისტრობის პერიოდში რა რეფორმები გატარდა ელექტროენერგეტიკის სექტორში და რა ცვლილებებია დღეს ამ სფეროში.**

— მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ და ამაში ვერც ერთი პროფესიონალი ვერ შემეკამათება, რომ ყველა ის სტრუქტურა, რომელიც დღეს ქართულ ენერგეტიკაშია, სწორედ ჩემი მინისტრობის პერიოდში ჩამოყალიბდა. ეს ურთულესი წლები იყო. მაშინ ისეთი სტრუქტურა უნდა შექმნილიყო, რომელიც მომავალ მუშაობაზე იქნებოდა გათვლილი.

**— კერძოდ რაზეა საუბარი? იქნებ დავაკონკრეტოთ?**

— თუნდაც თელასის პრივატიზაცია. ასევე, სახელმწიფო ელექტროსისტემის და გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის შექმნა. ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტის დაწყება. ჩემი მინისტრობის პერიოდში დაიწყო ისეთი უმნიშვნელოვანესი პროექტების განხილვა, როგორიცაა სახელმწიფო ელექტროსისტემის შექმნა და ირლანდიური კომპანია, „ეს-ბი-აი“-სთვის მართვაში გადაცემა, ასევე, გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის შექმნა და გადაცემა ამერიკული „პი-ეისთვის“- ასევე.

ირლანდიური კომპანიისთვის საბითუმო ბაზრის გადაცემა. თითოეული პროექტი დაახლოებით 4-5-წლიანი იყო და შედეგიც გამოილო.

**— მასში ხომ უამრავი თანხა იხარჯებოდა... მაინც რა თანხებზეა საუბარი?**

— ამას არც უარვყოფ. როგორც ვიცი, ამ პერიოდში მილიარდ ლარამდე ჩაიდო ენერგეტიკის სფეროში. თუმცა თეორიულადაც და პრაქტიკულადაც შეიქმნა ის ორგანიზაციები, რომლებიც დღეს მოქმედებენ და, ვფიქრობ, ეფექტიანადაც.

ენერგეტიკა ინერციული დარგია. ამიტომ ვითარება ერთ და ორ წელიწადში არ გამოსწორდება. ამ პროექტებით გათვალისწინებული იყო, რომ 2006 წლისთვის თანხების ამოღება იმ ნიშნულამდე მისულიყო, რომ დარგი ლიკვიდური გამხდარიყო. დღესდღეობით ეს მიღწეულია, რაც ძალიან მიხარია.

**— გამოდის, დღეს რომ 24-საათიანი ელექტროენერგია გვაქვს, თქვენი დამსახურებაა...**

— თანხების ამოღება ქვეყანაში 2001-2002 წლებში დაიწყო და ეტაპობრივად იზრდებოდა. ბედნიერი ვიყავი, როდესაც 2002 წელს მსხვილ მომხმარებლისგან თანხების ამოღებამ 100 პროცენტს მიაღწია. როცა გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია შევქმენით, გამრიცხველიანებასთან ერთად თანხების ამოღება ეტაპობრივად გაუმჯობესდა. საქართველო სწორედ ამ განვლილმა გზამ მიიყვანა იქამდე, რომ დღეს ელექტროენერგია იყიდება. მდგომარეობა სწორედ ამის ფონზე გაუმჯობესდა.

თუმცა ჩემს დროს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე 90-იან წლებში. მაშინ 3-საათიანი გრაფიკით ვცხოვრობდით. ჩემს დროს კი გრაფიკი აღარ არსებობდა. ვითარება ასე ნაბიჯ-ნაბიჯ უმჯობესდებოდა...

**— ფიქრობთ, რომ დღეს ენერგეტიკაში ყველა პრობლემა აღმოფხვრილია? რას იტყვით გაზრდილ ტარიფებზე?**

— ხარვეზი, რა თქმა უნდა, კიდევ უამრავია. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ქართული ენერგეტიკა დღეს უპრობლემოდ მუშაობს.

რაც შეეხება ტარიფებს, გარკვეული დრო და ინფორმაცია მჭირდება იმისათვის, რომ ჩემი პოზიცია მქონდეს. უახლოეს პერიოდში ყველა მასალას შევისწავლი, რათა გარკვეული დასკვნები გამოვიტანო.

ისე კი, ჩემი აზრით, გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას, დღევანდელ „ენერგოპროს“, მართლაც საკმაოდ მაღალი ტარიფები აქვს და გარკვეული კითხვები მებადება.

სადისტრიბუციო კომპანიასთან და გაერთიანებულ ჰიდროსადგურებთან ერთად „ენერგოპროს“ შექმნა არასწორად მიმაჩნია. ვფიქრობ, მონოპოლიური სტრუქტურები არ უნდა არსებობდეს და იგივე გენერაცია, როგორც ენერგოსექტორის კონკრეტული სფერო, განცალკევებულად უნდა ყოფილიყო. გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის ცალკე პრივატიზირებას უფრო დავუჭერდი მხარს, ვიდრე მონოპოლური სტრუქტურის შექმნას, სადაც გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია, სხვა ჰიდროსადგურები თუ გენერაციის ობიექტები ერთი მფლობელის ხელში იქნება მოქცეული.

არის სხვა ტენდენციაც, როდესაც სადგურს გარკვეულ მსხვილ მომხმარებელს გადასცემენ. ესეც არასწორია, რადგან საერთო ჯამში, ისევ მომხმარებელი ზარალდება.

**— დაბოლოს, რას იტყვით თქვენს სამომავლო გეგმებზე? აპირებთ ენერგეტიკის სფეროში დაბრუნებას?**

— ენერგეტიკიდან წასვლას ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან ვფიქრობ, რომ ამ დარგის სპეციალისტი და პროფესიონალი ვარ. შესაძლებელია სამეცნიერო, ექსპერტულ ან საკონსულტაციო სამსახური დავიწყო...

ესაუბრა
**სოფიო გოგლიძე**

№ 17. ოთხშაბათი, 30 იანვარი, 2008 წელი.

**◎ მხარე**

## კახეთში ჟურნალისტების ტერორი გრძელდება

***იმის მიუხედავად, რომ სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურატურას კახეთში არჩევნების დღეს მომხდარი ინციდენტის ფოტომასალა გადაუგზავნა, რომელშიც რადიო „ჰერეთისა“ და რეგიონული გაზეთის „სპექტრის“ ჟურნალისტის ხათუნა გოგაშვილის ფიზიკური შეურაცხყოფაა ასახული, კახელ სამართალდამცავებს დღემდე არავინ დაუკითხავთ. ზოგადად კახეთში ჟურნალისტთა შეურაცხყოფის ფაქტების გაუხსნელობა და სამართალდამცველთა გულგრილობა თითქმის ტრადიციად იქცა...***

ჟურნალისტი 5 იანვარს ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალის №19-ე საარჩევნო უბანზე ყოფილმა პარლამენტარმა ისაკო ცქიფურიშვილმა დაატერორა. მან ხათუნა გოგაშვილს დიქტოფონი წაართვა, შეურაცხყოფა მიაყენა და მიკვლით დაემუქრა.

„— ისაკო ცქიფურიშვილმა, რომელიც არც იმ უბნის ამომრჩეველი გახლდათ და არც უბანზე ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი აღმოაჩნდა, მომთხოვა აუდიოჩანაწერების გაკეთებისგან თავი შემეკავებინა. მოგვიანებით დამემუქრა, თუ არ გავჩერდებოდი ჩემს ფოტოსურათს ქილერს გადასცემდა.“ — აცხადებს ჟურნალისტი ხათუნა გოგაშვილი.

საგულისხმოა, რომ ერთადერთ რეგიონალურ რადიოსადგურ „ჰერეთზე“ განხორციელებული ზეწოლის ფაქტები ვარდების რევოლუციის შემდეგ ინტენსიურ ხასიათს იძენს. რაც შეეხება ნაციონალ ისაკო ცქიფურიშვილს, რომელიც 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარად იყრიდა კენჭს, იგი „ჰერეთს“ ადრეც ავიწროებდა. საგულისხმოა, რომ თვენახევრის წინათ რადიოსადგურისთვის ლიცენზიის ჩამორთმევაზეც იყო საუბარი. რადიოს ხელმძღვანელობა ლიცენზიის თაობაზე ატეხილ აჟიოტაჟს ხელოვნურს უწოდებს და ამ ფაქტს წინასაარჩევნოდ ჟურნალისტების დაშინების მცდელობად მიიჩნევს, რადგანაც ლიცენზიის მოსაკრებელი მათ მარეგულირებელ კომისიაში ვადამდეც ჰქონდათ გადახდილი. დამოუკიდებელი რადიოსადგურ „ჰერეთის“ გადაცემები საინგილოს ტერიტორიაზეც ვრცელდება და ეთნიკური უმცირესობისთვის სპეციალური რადიოპროგრამები მზადდება, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

შეგახსენებთ, რომ „ჰერეთის“ გენერალური დირექტორი რამაზ სამხარაძე ერთი წლის წინათ, ყოფილმა პარლამენტარმა მწვავე სიუჟეტის მომზადებისთვის გალახა...

**ილია მარტყოფლიშვილი**

**◎ ინფორმაცია**

## ახალი ცხელი ხაზი საჯარო რეესტრში

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ამოქმედდა ცხელი ხაზის ახალი ნომერი: 48-33-48, სადაც ნებისმიერი ტელეფონიდან, მათ შორის, მობილური ტელეფონიდან განხორციელებული ყველა ზარი უფასოა.**

**როგორც საჯარო რეესტრის სააგენტოდან იტყობინებიან, ცხელ ხაზზე მოქალაქეებს შეუძლიათ სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ნებისმიერი სახის უკანონო ქმედების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურს.**

**საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ცხელი ხაზი 2006 წლის სექტემბრიდან მუშაობს.**

**საჯარო რეესტრის ცხელი ხაზის ახალი ნომერი სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში თვალსაჩინო ადგილებზე იქნება გამოკრული.**

**ინტერპრესნიუსი**

# აზრი

მორიგ ჯერზე აჭრიალდა კარუსელი – გამოვლინდა წამსვლელი და წაუსვლელი... დიდის ამბით გვარწმუნებენ, რომ მთავრობაში ახალი სახეები მხოლოდ პროფესიულ-საქმიანი თვისებებით მოჰყავთ. თქვე დალოცვილებო, თუ მართლა ასეა, აგრე ხშირად რატომ ხდება მეპორტფელეთა ცვლა, რატომ არ ვაცლით ამ თვისებების გამომზეურებას ახლებს?



**მოსაზრება**

## პაატა ზაქარეიშვილი: თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს მორალური პასუხისმგებლობის გარდა არაფერი ეკისრება

***კონფლიქტოლოგი, ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი სააგენტო „ჯი-ეიჩ-ეითან“ საუბარში აცხადებს, რომ საქართველომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მათთვის ასე სასურველი თავდაუსხმელობის ხელშეკრულება რომც გააფორმოს, მას ამით არავითარი ზიანი არ მიადგება და გარდა მორალური პასუხისმგებლობისა, ამგვარი შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში სხვა პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.***

**„იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაცია საქართველოსა და მის კონფლქტურ რეგიონებს შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმებას სასიცოცხლოდ აუცილებელს უწოდებს და კოკოითიცა და ბაღაფშიც უკვე რამდენი ხანია ითხოვენ საქართველოსთან ამგვარი ხელშეკრულების გამოფორმებას, თუნდაც ამის განხორციელებით საქართველოს არავითარი ზიანი არ მიადგეს. მისი გაფორმება კი სულაც არ ნიშნავს აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. ამგვარი ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლის ნორმა არ არის და მასში მისი დარღვევის შემთხვევაში ხსენებაც არ არის ხელშეკრულების დამრღვევი სახელწიფოსთვის დაწესებულ სანქციებზე“,** – აცხადებს ზაქარეიშვილი და დასძენს, რომ ამგვარი შინაარსის ხელშეკრულებები ადრეც ყოფილა გაფორმებული საქართველოსა და მის კონფლიქტურ რეგიონებს შორის.

**„სხვათა შორის, 2004 წელს, ქართულ-ოსური კონფლიქტის გართულების შემდეგ, ზურაბ ჟვანიასა და ედუარდ კოკოითის სოჭში გამართულ შეხვედრაზე, მსგავსი შინაარსის მემორანდუმი გაფორმდა. მანამდე, 1994 წელს მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოს და აფხაზეთს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დაახლოებით მსგავსი შინაარსისაა. ამგვარი შეთანხმება არაერთხელ დაუღვევია აფხაზურ მხარეს და ცეცხლი კვლავ გაუხსნია, მაგრამ გარდა მორალური პასუხისმგებლობისა, მის დარღვევაზე დამრღვევ მხარეს არაფერი დაკისრებია“,** – აცხადებს ექსპერტი და აღნიშნავს, რომ საქართველოს მიერ თავის კონფლიქტურ რეგიონებთან ამგვარი ხელშეკრულების გაფორმება არამც და არამც არ ნიშნავს მათი დამოუკიდებლობის აღიარებას, რადგან ხელშეკრულება ფორმდება მხარეთა შორის და არა სახელმწიფოთა შორის.

**„2005 წლიდან მოყოლებული ძალიან აქტიური საუბარი მიდიოდა საქართველოსა და აფხაზეთს შორის ამგვარი ხელშეკრულების გამორმებაზე, თუმცა მოგვიანებით, ქართულმა მხარემ პოზიცია შეცვალა და განაცხდა ამ ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობა მხოლოდ რუსული ფაქტორის, ანუ კონფლიქტის ზონაში არსებული სამშვიდობო ძალების გამორიცხვის გარეშე“,** – ამბობს ზაქარეიშვილი და მიიჩნევს, რომ ქართული მხარე, მთელი ამ დროის განმავლობაში შეთანხმების გამფორმებაზე მხოლოდ იმის გამო „ითრევდა ფეხს“, რომ საქართველოს ხელისუფლება სადღაც მართლაც არ გამორიცხავდა კონფლიქტური რეგიონების პრობლემის ძალით გადაჭრის პერსპექტივას.

**„ახლა კი, როდესაც მდგომარეობა შეიცვალა, სააკაშვილმა რუსეთთან ურთიერთობების „სუფთა ფურცლიდან“ დაწყების სურვილი გამოთქვა, რეინტეგრაციის მინისტრმა განაცხადა, რომ საუბარი არ არის რუსული სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანაზე, არამედ მათთვის მხოლოდ მანდატის შეცვლაა საჭირო. შესაძლოა ამგვარი ხელშეკრულების გამოფორმება საქართველოს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან უბრალოდ მოუწიოს.**

**ამასთან ერთად, მხედველობაში მისაღებია ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ კარგად აგრძნობინა საქართველოს, რომ მისი კონფლიქტური რეგიონების გამო რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭებას არ აპირებს“,** – აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი სააგენტოსთან საუბარში და დასძენს, რომ ამგვარი ხელშეკრულების გაფორმებისა და შემდეგ მისი შესაძლო დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ და საომარი მოქმედებების გამჩაღებელ მხარეს მორალური პასუხისგებლობის გარდა სხვა არაფერი დაეკისრება.

ჯი-ეიჩ-ენი



**წკეპლიკა**

## ბოდიში, თქვენ გელით მინისტრობა...

***მორიგ ჯერზე აჭრიალდა კარუსელი – გამოვლინდა წამსვლელი და წაუსვლელი... დიდის ამბით გვარწმუნებენ, რომ მთავრობაში ახალი სახეები მხოლოდ პროფესიულ-საქმიანი თვისებებით მოჰყავთ. თქვე დალოცვილებო, თუ მართლა ასეა, აგრე ხშირად რატომ ხდება მეპორტფელეთა ცვლა, რატომ არ ვაცლით ამ თვისებების გამომზეურებას ახლებს?***

მეორეც, მაგალითისათვის, ნეტავ რა საგანათლებო-სამეცნიერებო პროფესიონალიზმი შენიშნეს განათლებისა და მეცნიერების ახალ მინისტრს, რომელსაც ხან პოლიტოლოგად მოიხსენიებენ, ხან ექსპერტად? აბა, თუ ღმერთი გწამთ, სად განათლება-მეცნიერება, სად პოლიტოლოგია, ხოლო თუ ექსპერტია, რისი – სოროსიზმისა? რაც მე მაგისთვის ტელეეკრანიდან მომისმენია, განათლებისა და მეცნიერებისა რომ არცრა უჩანდა? როდის აქეთ გახდა ამ ორი სფეროს ექსპერტი? და კიდევ, ულამაზო ნათქვამი გამოვიდა, ეგებ უტაქტოც, მაგრამ ასე როა? – ეგ კაცი შიგადაშიგ გვარიანად უკიდებს ენას და რა, ოქროპირები გვაკლდა ხელისუფლებაში?...

ისე, ორი-სამი ახალი მინისტრი, თქვენც შეამჩნევდით, გაინაზა – ეს შემოთავაზება ჩემთვის მოულოდნელი იყოო. ამხელა საქმის ჩაბარება თუ მოულოდნელია და გასაძღოლად შინაგანად მზად არა ხარ, რაღას იბარებ! წარმოიდგინეთ, რომ ქუჩაში მიდიხართ, ვიღაც თინეიჯერმა მოირბინა თქვენთან და გამცნოთ – ბოდიში, თქვენ მინისტრობა გელითო...

სად სად და, საქართველოში, ასე გასინჯეთ, მსგავსი რამეც შეიძლება მოხდეს – ქუჩიდან მინისტრის აყვანა...

**ლუკა გორგაძე**



**პოზიცია**



## შალვა ნათელაშვილი: ნოემბერში ოპოზიციას შეეძლო უკრაინის მოდელის გამოყენება და საქმე ინაუგურაციამდე არ მივიდოდა

***საქართველოს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი უახლოეს დღეებში სამკურნალოდ ევროპაში გაემგზავრება. ნათელაშვილი კლინიკა „გულის“ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გულის შეტევით რამდენიმე დღის წინათ მოათავსეს. საზღვარგარეთ გამგზავრებამდე „ჯი-ეიჩ-ენმა“ ლეიბორისტთა ლიდერთან მცირე ინტერვიუ ჩაწერა.***

**– ბატონო შალვა, თქვენი შეფასება არ მოგვისმენია სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით. რას ფიქრობს ლეიბორისტთა ლიდერი მინისტრთა კაბინეტში განხორციელებულ საკადრო გადაადგილებებზე?**

– რომელ ცვლილებებზეა ლაპარაკი, როცა კვალავ პოსტზე რჩებიან ვანო მერაბიშვილი და თითქმის მთელი ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები. ეს ხომ ის ადამიანები არიან, რომლებმაც საკუთარი ხალხი უმოწყალოდ დაარბიეს. კვლავ თანამდებობებზე არიან საეჭვო რეპუტაციის მქონე ახალგაზრდები კეზერაშვილისა და ცისკარიშვილის სახით. რაც შეეხება ე.წ. ახალ სახეებს, სოროსის ღვიძლი შვილები ნოდია და იაკობაშვილი, ასევე, ვითომ ზვიადისტი იულონ გაგოშიძე მხოლოდ იმის გამო დანიშნეს პოსტებზე, რომ ისინი სააკაშვილის გუნდრუკის კმევის გარდა არც არაფერს აკეთებდნენ და არც მომავალში გააკეთებენ, საკადრო ცვლილებები მხოლოდ და მხოლოდ მორიგი კარუსელია, რომელიც ხალხის თვალის ასახვევადაა მიმართული.



**– მიხეილ სააკაშვილმა და ახალმა კაბინეტმა უკვე გააკეთეს მკაფიო განაცხადი, რომ ისინი მზად არიან რუსეთთან ურთიერთობა ახალი ფურცლიდან დაიწყონ და საჭიროების შემთხვევაში კომპრომისზეც წავიდნენ...**

– როგორ წარმოუდგენიათ იმ ქვეყანასთან ცარიელი ფურცლიდან ურთიერთობების დაწყება, რომელთანაც თითქმის 200-წლიანი ურთიერთობა გვაკავშირებს. ეს იქნება კულტურული თუ სხვა სახის ურთიერთობები. ცარიელი ფურცლიდან შეიძლება შრილანკასთან ვითანამშრომლოთ.

**– ბატონო შალვა, გაერთიანებული ოპოზიცია მუშაობს სპეციალურ მიმართვაზე, რომლითაც ხელისუფლებას კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს. გავრცელებული ინფორმაციით, მიმართვაში საუბარია ვანო მერაბიშვილის გადაყენებაზეც. შეუერთდებით თუ არა ამ მიმართვას?**

– არ ვარ საქმის კურსში, თუ რა მიმართვებს წერენ ოპოზიციის წარმომადგენლები და, სიმართლე გითხრა, არც ვარ ვალდებული მათ მიერ შექმნილ დოკუმენტებს რატიფიცირება გავუკეთო. როდესაც აქციაზე 200 ათასი ადამიანი გამოვიყვანეთ, ეს მოთხოვნები მაშინ დაეყენებინათ. ოპოზიციას თამამად შეეძლო უკრაინის მოდელის გამოყენება და საქმე ინაუგურაციამდე არ მივიდოდა. ახლა მსგავსი ქმედებები ხალხის მოტყუებაა და სხვა არაფერი.

**– ანუ, თქვენი საუბრიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, საპარლამენტო არჩევნებისთვის ლეიბორისტული პარტია ოპოზიციასთან გაერთიანებას არ გეგმავს?**

– რა თქმა უნდა. ლეიბორისტული პარტია ყველა არჩევნებზე გამოდიოდა მხოლოდ საკუთარი სახელით და ახლაც ასე იქნება. მართალია, გვართმევდნენ ხმებს, გვიყალბებდნენ არჩევნებს, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ჩვენი რესურსით მივდივართ არჩევნებზე.

ესაუბრა
**მირიან ბოქოლიშვილი**

# ერიჰაა!..

ქალაქ ფოთის მერს გულითადად ვთხოვთ გამოეხმაუროს ჩვენი გამოჩენილი არქიტექტორის ბატონ ვახტანგ დავითაიას და რედაქციის მრავალათასიან მკითხველთა აღშფოთებას „მეზღვაურთა მემორიალის“ გარშემო შექმნილი „გაუგებრობის“ გამო

**SIC!**

# ფოთი: ნგრევა... შენებით

## საგანგებო წერილი ქ. ფოთის მერს, ბ-ნ ივანე საღინაძეს

**ბატონო მერო!**

**ორი თვის წინათ ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მალთაყვაში, მეზღვაურთა მემორიალის ტერიტორიაზე, მემორიალის აღქმის ანუ მემორიალის „სასიცოცხლო არეალში“ განზრახულია სპორტული ნაგებობის მშენებლობა. ამის დაუშვებლობაზე ტელეფონით გესაუბრეთ. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ თქვენ არ იყავით თავისუფალი ამ გადაწყვეტილებაში, რის გამოც წერილობითაც დავადასტურე ის, რაც ტელეფონით მოგახსენეთ, ტექსტი მაინც დოკუმენტია. შეკვეთილი წერილი გამოგიგზავნეთ 7 დეკემბერს. პასუხი არ მიმიღია, არც ველოდი. სამინისტროების და სხვა მაღალი ინსტანციების წაყრუება დღეს აღიარებული „წესია“. როგორც ჩანს, ჩემმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო, მშენებლობა დაგიწყიათ. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით გადავწყვიტე თქვენთვის გამოგზავნილი წერილი საყოველთაო განსჯისთვის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნო.**



ბატონო ვანო,

ჩვენი სატელეფონო საუბრის შემდეგ, მიზანშეწონილად ჩავთვალე წერილობითაც გაცნობოთ ჩემი პოზიცია.

დიდად შემაწუხა ცნობამ იმის შესახებ, რომ არის მოსაზრება „მეზღვაურთა მემორიალის“ თავიდანვე მონიშნულ არეალში გაშენდეს ნაგებობა. მე ორმაგ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რადგანაც, ჩვენს შორის არ არის **ელგუჯა ამაშუკელი**, ფოთის დიდი მოამაგე – „კოლხეთის დედის“, ცოტნეს, მეზღვაურთა მემორიალის, ივანე ჯავახიშვილის ძეგლების, ვალერიან გუნიას, ბორის პაიჭაძის ბიუსტების ავტორი. ამ ძეგლების არქიტექტორი მე გახლავართ.

„მეზღვაურთა მემორიალის“ მხატვრული კონცეფცია, მასშტაბი, უშუალოდ განპირობებულია იმ კონკრეტული სივრცობრივი გარემოთი, სადაც ის ამჟამად დგას. დამერწმუნებით, სხვა ადგილას, სხვა გარემოში „მემორიალი“ იქნებოდა სრულიად განსხვავებული. „მეზღვაურთა მემორიალი“ ეს ის წარმატებული შემთხვევაა, როდესაც გარემო და მემორიალი ქმნიან ორგანულ მხატვრულ მთლიანობას. ეს ჰარმონია შეიძლება დაანგრიოს არა თუ ამ სივრცეში ახალი მოცულობის შემოტანამ (იქნება ის გვერდზე თუ უკანძ, არამედ ერთმა, უადგილო ადგილას დარგულმა ხემაც კი.

„მეზღვაურთა მემორიალს“ დიდი წარმატება ჰქონდა. მისი ფოტოები, სტატიები, ანოტაციები გამოქვეყნებული იყო მსოფლიოს მრავალ პროფესიულ ჟურნალში. მის ღირსებას დრომ ვერაფრით დააკლო. ის დღესაც აღიარებულია მეორე მსოფლიო ომის თემისადმი მიძღვნილ მემორიალთა შორის საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ. **„მეზღვაურთა მემორიალის“ და ქ. გორის „მზეჭაბუკისათვის“ ჩვენ მოგვენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.**



მეზღვაურთა მემორიალის საერთო ხედი.

ვიმედოვნებ, რომ ქ. ფოთის დღევანდელი ხელმძღვანელობა არ დაუშვებს ისეთ ქმედებას, რომელიც არ ეკადრება ამ ტრადიციულად ინტელიგენტურ ქალაქს, ქმედებას რომელსაც შეუძლია არასასურველი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვიოს.

პატივისცემით,
**ვახტანგ დავითაია,**
აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ფოთის საპატიო მოქალაქე.

* * *

*P. S. ხაზგასმით მინდა ვთქვა, ვინ შეიძლება იყოს წინააღმდეგი შენებისა, მით უფრო სპორტული ობიექტისა, მაგრამ არ შეიძლება შენების დროშით ნგრევა, შექმნილის ხელყოფა, რაც არც თუ იშვიათად ხდება ჩვენში. ამ მემორიალის მშენებლობა ხუთი წელი მიმდინარეობდა, გაწეულია მნიშვნელოვანი ხარჯები და ათეულობით ადამიანის, პროფესიონალების და პარტიულ-სამეურნეო პერსონალის შრომა და ენერგია. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ფოთის იმჟამინდელი ქალაქკომის პირველი მდივანი ნუგზარ საჯაია ფოთი-თეთრიწყაროს გზაზე იყო გაგზავნილი, რათა მემორიალური ქვები, რომელთაც უნდა უკვდავეყოთ დაღუპული ბიჭების ხსოვნა, დროულად ჩამოეტანა.*

*მივმართავ პროექტის ავტორს, კოლეგას, შესაძლოა ჩემს ნასტუდენტარს, – პროფესია „არქიტექტორი“ გულისხმობს დიდ პასუხისმგებლობას, უპირველეს ყოვლისა შექმნილის წინაშე. დღეს, როდესაც ყველა არქიტექტურული ინსტანცია ლიკვიდირებულია და მხარეების რწმუნებულებმა და ქალაქების მერებმა „წარმატებით“ შეითავსეს არქიტექტორების და ურბანისტების ფუნქციები, როდესაც ყველა აპროექტებს ცენზის, კვალიფიკაციის, გამოცდილების და ლიცენზიის გარეშე, ავტორის პერსონალური პასუხისმგებლობა ერთი ათად იზრდება. თქვენ დაარღვიეთ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის და საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირის პროფესიული ეთიკის კოდექსები, რომელთა დაცვა სავალდებულოა არქიტექტურული მოღვაწეობისთვის, კერძოდ: „დამკვეთის წინადადებაზე არქიტექტორს მართებს თავი შეიკავოს იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნები შეუთავსებელია არქიტექტორის საზოგადოებრივ პასუხისმგებლობასთან, პროფესიულ მოვალეობასა და შემოქმედებით მრწამსთან თუ დამკვეთის პირობები ლახავს სხვა არქიტექტორის საავტორო უფლებას ან შეურაცხყოფს მის ღირსებას“...*

*ვ. დ.*

***რედაქციისაგან:** „მეზღვაურთა მემორიალი“ ფოთის (მალთაყვისძ, საერთოდ, ქართული ხუროთმოძღვრების მშვენებაა. აქ გარემო და მემორიალი ერთ ორგანულ, მხატვრულ მთლიანობას ქმნიან. ამ ჰარმონიის დანგრევა მიუტევებელი შეცდომაა. ნუთუ ფოთის ტერიტორიაზე არ მოიძებნება ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობისთვის სხვა ადგილი, რომ დაღუპულ მეზღვაურთა ხსოვნა და უნიკალური მემორიალი არ შეურაცხვყოთ?!*

*ქალაქ ფოთის მერს გულითადად ვთხოვთ გამოეხმაუროს ჩვენი გამოჩენილი არქიტექტორის ბატონ ვახტანგ დავითაიას და რედაქციის მრავალათასიან მკითხველთა აღშფოთებას „მეზღვაურთა მემორიალის“ გარშემო შექმნილი „გაუგებრობის“ გამო.*

**ინფორმაცია**

# ევროპიდან შემოტანილი ბენზინი უსაფრთხოა



**საქართველოში იმპორტირებულ საწვავში ტყვიის შემცველობა არ არის. ამის შესახებ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა.**

მისივე თქმით, საქართველოში ბენზინი არ იწარმოება, ხოლო იმპორტი იტალიიდან, საბერძნეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან და აზერბაიჯანიდან ხორციელდება.

აღნიშნულ ქვეყნებში წარმოებულ ბენზინში კი, ტყვიის შემცველობა, ფაქტობრივად, არ არის, – აღნიშნა მთვრალაშვილმა.

კავშირის თავმჯდომარის ინფორმაციით, საქართველოში მოხმარებული ბენზინის 60% ევრო- სტანდარტის შესაბამისია.

ამასთან, გასულ კვირას კავკასიის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრის ორგანიზებით, თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია "სუფთა საწვავი და საავტომობილო ტრანსპორტი აღმოსავლეთ ევროპის, ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის“. ვანო მთვრალაშვილის თქმით, კონფერენციის მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში საწვავის ხარისხთან დაკავშირებით ვითარება ყველაზე კარგია, რადგან სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით შუა აზიაში, იყიდება როგორც ტყვიანარევი, ასევე ეთილირებული საწვავი.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ბოლო პერიოდში გარემოს დაცვის სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის დასკვნის საფუძველზე გაკეთდა განცხადებები, რომ საქართველოში ადგილი აქვს ტყვიაშემცველი ბენზინის რეალიზაციის ფაქტებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს სხვადასხვა ნეგატიურ პროცესებს, როგორებიც არის ატმოსფეროს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება.

**ინტერპრესნიუსი**

# უცხოური პრესა

**ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ პატიოსან ბრძოლაში ნაციონალური მოძრაობა წააგებს. არჩევნებამდე დარჩენილ ოთხ თვეში საეჭვოა ახალმა მთავრობამ სოციალური მაჩვენებლების გაუმჯობესებას და შესაბამისად საზოგადოებაში განწყობილების შეცვლას მიაღწიოს**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# ახალი მთავრობის მთავარი ამოცანა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებაა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ახალ მთავრობას უკვე დაავალა სიღარიბესთან ბრძოლა, რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა და ქვეყნის შემადგენლობაში კონფლიქტური რეგიონების დაბრუნება. მაგრამ ყველას ესმის, რომ ამ მთავრობის მთავარი ამოცანაა ხელისუფლების პარტიის გამარჯვება უზრუნველყოს საპარლამენტო არჩევნებში. გაზეთ „კომერსანტის“ სპეციალური კორესპონდენტი ოლგა ალიონოვა შეეცადა გარკვევას, შეძლებს თუ არა მიხეილ სააკაშვილი თავისი გეგმის განხორციელებას და რას ელიან საქართველოში ახალი მთავრობისგან.

თბილისისთვის არნახული სიცივის მიუხედავად, საქართველოს მეწარმეთა კავშირის დიდ შენობაში თბილა. ეს თბილისისთვის დიდი იშვიათობაა, გათბობის სისტემა ხომ აქ 1992 წლის ქუჩის ბრძოლების შემდეგ არ აღდგენილა და ბევრ ადმინისტრაციულ დაწესებულებაში ძალიან ცივა. შენობა უკაცრიელია. მას მერე რაც საქართველოს მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა ეს პოსტი და ქვეყანა დატოვა, ბიზნესმენები აქ აღარ იკრიბებიან. მაგრამ უახლოეს დღეებში მეწარმეთა კავშირში არჩევნები გაიმართება — ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიონ. საქართველოში ბადრი პატარკაციშვილის ეპოქა დასრულდა. „ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა, — თქვა კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ. — ეს კი ბიზნესისთვის მიუღებელია. სწორედ ამიტომ ვთხოვეთ, დაეტოვებინა მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტის პოსტი“.

ბიზნესმენმა ისაკაძემ შემთხვევით როდი დამინიშნა შეხვედრა სწორედ აქ. მას სურდა, მენახა, თუ როგორი გავლენა მოახდინა ბიზნესზე საქართველოში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა. „ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ამ შენობაში ცხოვრება დუღდა, ახლა კი, როგორც ხედავთ, სამარისებური სიჩუმეა, — თქვა გიორგიმ, — და ეს სიმბოლურია. ქართული ბიზნესი სერიოზულად დაზარალდა ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად. მრავალმილიონიანი ინვესტიციები, რომლებიც საქართველოში მოედინებოდა, შეჩერდა. დაზარალდნენ რიელტერები, სამშენებლო და საბანკო სექტორი. ჩემი გაანგარიშებით ნოემბრის მოვლენების შემდეგ ქვეყანამ დაგეგმილი ინვესტიციების სახით 2 მილიარდი დოლარი დაკარგა და ყოველივე ეს იმიტომ მოხდა, რომ მთავრობა არ დათანხმდა ოპოზიციის მოთხოვნას, გაზაფხულზე გაემართა საპარლამენტო არჩევნები. ჩვენ, ბიზნესმენებს, ხელისუფლების მოქმედება არალოგიკურად მიგვაჩნია, საბოლოო ანგარიშით ხომ არჩევნები მაინც გაზაფხულზე გაიმართება. მაგრამ ხელისუფლებას ეს გადაწყვეტილება რომ მიეღო, საჭირო გახდა „იმედის“ დახურვა, 500 კაცის ცემა, ქვეყნისთვის საფრთხის შექმნა და საზღვარგარეთ საქართველოს იმიჯის შელახვა“.

გიორგი იხსენებს, რომ ნოემბრის მოვლენებამდე თბილისში კარგ სასტუმროში თავისუფალ ნომერს ვერ იშოვიდით: ორ „მარიოტში“ და „შერატონში“ ანშლაგი იყო. ამიტომაც დაიწყო თბილისში ერთბაშად რამდენიმე ფეშენებლური სასტუმროს მშენებლობა — „კემპინსკის“, „რედისონის“ და „ჰილტონის“. „საქართველოსადმი უცხოელთა ინტერესი უზარმაზარი იყო, — თქვა ბიზნესმენმა. — სააკაშვილის პერიოდში ხომ ქვეყანამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია: გზა გაიხსნა ინვესტორებისთვის, დაიწყო ქართული ბიზნესის გლობალიზაცია, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი გახდა, თბილისში თავისი ფილიალები გახსნეს ევროპის ცნობილმა ბანკებმა. და ეს ყველაფერი არარად იქცევა, როცა ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა არ არსებობს. თუ ბიზნესმენი დარწმუნებული არ არის, რომ აქ თავისუფალ სასამართლოს მიიღებს, მისთვის გარანტიები მცირეა. და ეს, ჩემი აზრით, სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი შეცდომა იყო“.

სხვათა შორის, ჩემი თანამოსაუბრე დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტს შეუძლია მოსახლეობისა და ბიზნესის ნდობა დაიბრუნოს და უზრუნველყოს არჩევნებში მმართველი ნაციონალური მოძრაობის წარმატება. ამისთვის მას თავისი გუნდის კარდინალური შეცვლა სჭირდება. „არაპოპულარულია ბენდუქიძე, არაპოპულარულები არიან ძალოვანი მინისტრები, — თქვა ბიზნესმენმა. — სააკაშვილი დილემის წინაშე დგას: ძველი გუნდით შეხვდეს საპარლამენტო არჩევნებს — ეს კი ნიშნავს მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს და ხალხის ადრინდელ უნდობლობას — თუ გარისკოს და ახალი ხალხი შემოიკრიბოს. მის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებულია მისი როგორც პრეზიდენტის და ნაციონალური მოძრაობის წარმატება“.

მთავრობაში კარდინალური ცვლილებების აუცილებლობას აღნიშნავს ჩემთან საუბარში საქართველოს დიპლომატიური აკადემიის რექტორიც, ცნობილი პოლიტოლოგი იოსებ ცინცაძე. აკადემიის ცარიელ შენობაში მის კაბინეტში ვსხედვართ — ძლიერი სიცივის გამო აქაც, ისევე როგორც საქართველოს სხვა სასწავლებლებშიც, მეცადინეობა ჯერ არ დაწყებულა. რამდენიმე წლის წინათ სახელმწიფო მოხელე მიხეილ სააკაშვილი ამ აკადემიაში სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა. შემდეგ მოხელე პრეზიდენტი გახდა, რექტორი ცინცაძე კი მის მრჩეველთა ჯგუფს ჩაუდგა სათავეში. „ჩვენი მთავარი რეკომენდაცია იყო თავიდანვე დაეწყოთ ბიუროკრატიული კლასის შექმნა, — თქვა რექტორმა. — საჭირო იყო პროფესიონალი, ხელისუფლებისადმი ნეიტრალური სახელმწიფო მოსამსახურეთა კლასი, რომლებსაც არ ექნებოდათ ახალი უფროსის მოსვლის შიში. თინეიჯერი, ანუ ყმაწვილკაცი, რომელიც თავისი გუნდით მოდის, რომელიც ქუჩის მეგობრებისგან ჰყავს შექმნილი, ყველას დაითხოვს. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ასე მოხდა: სააკაშვილს გარს არაპროფესიონალები ახვევიან, რომლებიც დითირამბებს უმღერიან. მას სათადარიგო სკამზე ცოტა ხალხი ჰყავს — ისინი, ვისაც სკოლიდან ან უნივერსიტეტიდან იცნობდა და როცა მთავრობაში ახალ სახეებზე ლაპარაკობს, ვერ ვიგებ, საიდან მოიყვანს მათ. მას თავიდანვე არ უნდოდა აკადემიური წრეებისთვის მიეპყრო ყურადღება, მან და მისმა დაახლოებულმა პირებმა 35 წლამდე ახალგაზრდებზე დაამყარეს იმედი. იმათ კი, ვინც უფროსი იყო, უთხრა: „თქვენ არ გვჭირდებით“. და 40 წლის ადამიანები, თავიანთი გამოცდილების მიუხედავად, ბორტს მიღმა აღმოჩნდნენ“. სწორედ 40 წელს გადაცილებულთა უკმაყოფილება გახდა, პოლიტოლოგის აზრით, ნოემბრის მიტინგების სოციალური ბაზა.

ხელისუფლების შეცდომების ჩამოთვლისას იოსებ ცინცაძე ახსენებს გაზრდილ ბიუროკრატიულ სისტემას და ეგრეთ წოდებულ სახელმწიფო ხარკს. და ასეთი მაგალითი მოჰყავს: შევარდნაძის დროს სახელმწიფო დაწესებულებებში ცნობა ურიგოდ გაიცემოდა, თუ 20 ლარს ქრთამად გადაიხდიდა. ახლა ქრთამი არ არის, მაგრამ ასეთი ცნობა რომ მიიღო, მთელი დღე რიგში უნდა იდგე და სახელმწიფო გადასახადის სახით ისევ ის 20 ლარი გადაიხადო. „შარშან კი თბილისში სცადეს მიეღოთ კანონი საცხოვრებელი სახლის ეზოში ღამით ავტომანქანის გაჩერებისთვის გადასახადის აუცილებლობის შესახებ, — თქვა რექტორმა. — ასეთი რამ არსად ხდება და ამან ადამიანთა აღშფოთება გამოიწვია. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ამგვარ გადაწყვეტილებებს რომ იღებს, ხელისუფლება გამომწვევად და უაპელაციოდ იქცევა. აქაოდა ჩვენ გადავწყვიტეთ, თქვენ კი შეასრულეთო. მაგალითად, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი მაია ნადირაძე, რომელიც ოპოზიციას ეუბნება: „ჩვენთვის სულ ერთია, თქვენ რას ფიქრობთ, ჩვენ ბევრნი ვართ და ისე გადავწყვეტთ, როგორც გვინდა“. საქართველოში ასეთი რამ არ შეიძლება“.

სააკაშვილის მთავრობის მთავარ შეცდომად კი ექსპერტები რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტას მიიჩნევენ. საქართველოში ახლა მოდაშია დასავლური ორიენტაცია, და პრორუსული პოლიტიკოსის ან ექსპერტის პოვნა ძალიან რთულია და მაინც პროდასავლურ ოპოზიციას და დამოუკიდებელ პოლიტოლოგებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს ახალი მთავრობის წარმატება შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით: თუ საქართველო ურთიერთობას მოაგვარებს რუსეთთან. საქართველოში არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ მიტინგზე გამოსულ მოქალაქეთა ძირითადი ნაწილი მოითხოვს რუსეთთან საზღვრების გახსნას და ეკონომიკური ემბარგოს გაუქმებას. „მე, რა თქმა უნდა, ასევე დასავლეთის მომხრე ვარ, — თქვა პროფესორმა ცინცაძემ, — მაგრამ მიმაჩნია, რომ რუსეთთან ურთიერთობის ასე ხელაღებით გაწყვეტა დაუშვებელია. ისიც მესმის, რატომ ახსენებს სააკაშვილი რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების ახალ გეგმას: მხოლოდ ასე შეძლებს მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას. მაგრამ მეეჭვება ამ გეგმის განხორციელება, რადგან იგი ჯერაც არ გამოქვეყნებულა და არც აპრობირებულია ექსპერტთა თანამეგობრობაში. თანაც რუსეთმა აშკარად ცხადყო თავისი პოზიცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ, ეს კი სრულიად მიუღებელი პოზიცია მოლაპარაკებისთვის“. დიპლომატიური აკადემიის ცარიელ დერეფნებში მივაბიჯებთ. კედლებზე ცნობილი ქართველი პოლიტიკოსების და დასავლელი დიპლომატების ფოტოსურათებია, რომლებიც ხშირად სტუმრობენ ამ სასწავლებელს. ბოლო ხანს პოლიტიკოსები და დიპლომატები დაინტერესდნენ, გაძლებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება, დარჩება თუ არა პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. „სააკაშვილს რთული დრო ელის, — მარწმუნებს პოლიტოლოგი. — მრავალი თავისი მომხრის წყენინება და ახლებით შეცვლა მოუწევს. და საქმე მხოლოდ მთავრობას როდი ეხება. მან თავიდანვე უნდა შექმნას მმართველი პარტია, რადგან ამ პარტიამ არ გაამართლა. სააკაშვილს, უწინარეს ყოვლისა, მისი ხელმძღვანელობის შეცვლა მოუწევს, რადგან ეს ადამიანები უკიდურესად აღიზიანებენ მოსახლეობას“. თუ პრეზიდენტი თავის პარტიაში ცვლილებებს არ მოახდენს, იგი საპარლამენტო არჩევნებს წააგებს, დარწმუნებულია ჩემი თანამოსაუბრე.

სწორედ ამის იმედი აქვთ ოპოზიციის ლიდერებს, რომლებიც მოითხოვენ თავისუფალ ტელეეთერს, პარლამენტში მოხვედრისთვის ბარიერის შემცირებას, აგრეთვე საუბნო, საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში ოპოზიციისა და ხელისუფლების პარიტეტულ წარმომადგენლობას. ეს, ოპოზიციის აზრით, სამართლიანი არჩევნების პირობას შექმნის. გაერთიანებული ოპოზიციის საბჭოს სანუკვარი ოცნებაა საკანონმდებლო უმრავლესობა მოიპოვოს და შექმნას პრეზიდენტისგან დამოუკიდებელი პარლამენტი, პერსპექტივაში კი შეზღუდოს პრეზიდენტის უფლებამოსილება ან საერთოდ იმპიჩმენტი გამოუცხადოს მას. პრეზიდენტი სააკაშვილი ლეგიტიმურად ჯერ ხომ არც ერთ ოპოზიციურ პარტიას არ უღიარებია. თუ ოპოზიცია ვერ მიაღწევს „არჩევნებში მონაწილეობისთვის ადეკვატურ პირობებს“, იგი ბოიკოტის გამოცხადებას აპირებს. გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის სალომე ზურაბიშვილის აზრით, ხელისუფლება იძულებული იქნება დათმობაზე წავიდეს, რადგან ბოიკოტის შემთხვევაში დასავლეთი არჩევნებს არ აღიარებს. ამიტომაც ხელისუფლებამ უკვე დაიწყო კონსულტაციები კონსტიტუციაში შესწორებების თაობაზე, რომლებიც ითვალისწინებს ბარიერის შემცირებას, და ოპოზიცია საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის მმართველობაში დაუშვა. ახლახან ცნობილი გახდა, რომ ამ კვირაში ეთერში გავა ტელეკომპანია „იმედი“.

ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ პატიოსან ბრძოლაში ნაციონალური მოძრაობა წააგებს. არჩევნებამდე დარჩენილ ოთხ თვეში საეჭვოა ახალმა მთავრობამ სოციალური მაჩვენებლების გაუმჯობესებას და შესაბამისად საზოგადოებაში განწყობილების შეცვლას მიაღწიოს.

**Коммерсант**

№ 17. ოთხშაბათი, 30 იანვარი, 2008 წელი.

# უცხოური პრესა

**დავოსში, ფაქტობრივად, ყველანი თანახმანი არიან, რომ ეკონომიკური დაცემა აუცილებლად შეეხება ევროპასაც და აზიასაც. Morgan Stanley Asia-ს თავმჯდომარის სტივენ როუჩის აზრით, შიდა მოხმარების ბაზარი ჩინეთში არასაკმარისად დიდია, რომ უმტკივნეულოდ აითვისოს ჩინურ ექსპორტზე ამერიკელ მომხმარებელთა მოთხოვნილება**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს გამოცდის გადაბარება უჭიანურდება

*ნატოს ხელმძღვანელობა ამოწმებს თბილისის მზადყოფნას ალიანსთან შემდგომი დაახლოებისთვის. 28 იანვარს თბილისში ბრიუსელიდან ჩამოვიდა ნატოს შეფასებითი მისია, რომელიც კიდევ ერთხელ გააანალიზებს, თუ როგორ ასრულებს საქართველო ალიანსის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის ფორმატით. დელეგაციას მეთაურობს ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რობერტ სიმონსი.*

როგორც „ნეზავისიმაია გაზეტას" აცნობეს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, ეს მისია თბილისში 28-დან 31 იანვრამდე იმუშავებს და მთელ რიგ სამუშაო შეხვედრებს გამართავს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებში, აგრეთვე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ნატოში ქვეყნის შესვლის პერსპექტივებზე იმსჯელებს. განიხილავენ არა მხოლოდ რეფორმებს სამხედრო სფეროში, არამედ ფართო პლანის საკითხებსაც, კერძოდ, როგორიცაა კანონის უზენაესობა, ქვეყანაში დემოკრატიის საერთო დონე, ადამიანის უფლებათა დაცვა, კორუფციასთან ბრძოლა, კონფლიქტების მოწესრიგება, ეკონომიკური პოლიტიკა და რესურსების მართვა, სასამართლო და პენიტენციალურ სისტემებში არსებულ ვითარება და ა.შ. თბილისში ნატოს მისია დაამთავრებს მოლაპარაკებას ევროპისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან გიორგი ბარამიძესთან. ნატოს ექსპერტები შემაჯამებელ ანგარიშს თებერვლის დამლევს გამოაქვეყნებენ. ეს საქართველოში ნატოს შეფასებითი მისიის უკვე მესამე ვიზიტია. თბილისში იმედოვნებენ, რომ ამჯერად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ექსპერტები დაასკვნიან, რომ საქართველო მომწიფდა თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასასვლელად და ნატოს უკვე აპრილის სამიტზე ბუქარესტში ქვეყანას ბოლოს და ბოლოს ჩართავენ ალიანსში შესვლისთვის მოქმედების გეგმაში. მაგრამ ბრიუსელში, როგორც ჩანს, აჩქარებას არ აპირებენ, თუმცა წინა შეფასებითი მისიების დასკვნები საქართველოს საკითხის დადებითი გადაწყვეტის გარკვეულ იმედს აძლევდა. დასკვნებში ყოველთვის აღინიშნებოდა, რომ საქართველომ „სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ყველა სფეროში, რომლებსაც მოიცავს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა", რომ ალიანსის ყველა წევრი ქვეყანა „მზადაა დაეხმაროს საქართველოს დასახული მიზნების მიღწევაში". ამავე დროს წინა შეფასებითი მისიების დასკვნებში ხაზგასმით აღინიშნებოდა: კანდიდატი ქვეყნებისათვის ყველა ვალდებულების შესრულება „მრავალწლიან შრომას მოითხოვს".

ბევრი ქართველი ანალიტიკოსის აზრით, არ არსებობს სერიოზული საფუძველი იმედისათვის, რომ ახლანდელი შეფასებითი მისია რაიმე უფრო გარკვეულ დასკვნებს გააკეთებს და თბილისისთვის გახსნის გზას ნატოში შესვლისათვის მოქმედების გეგმაში ჩასართავად. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველო ნატოში" ხელმძღვანელმა შალვა ფიჩხაძემ თქვა, მისიის დასკვნებს განსაზღვრავს არა მარტო საქართველოს მზადყოფნა ამ ნაბიჯისთვის, არამედ ალიანსის სხვა მონაწილე ქვეყნების საერთო განწყობაც. ჯერჯერობით, როგორც მან თქვა, ბრიუსელის მიერ საქართველოსთვის დასახული „გამოცდის გადაბარება" აშკარად გაჭიანურდა. „სირთულე იმაშიც მდგომარეობს, რომ საქართველოს საზოგადოებრიობას მხოლოდ მარჩიელობა უწევს იმ რეალურ შეფასებებზე, რომლებსაც საქართველოს მსგავსი რევიზორები აძლევენ – შემაჯამებელი დოკუმენტების შინაარსს არ ახმაურებენ, გამოთქმული პრეტენზიებისა და რეკომენდაციების შესახებ მხოლოდ თავად ნატოში და საქართველოს მთავრობაში იციან. რატომ გაგვიჭიანურდა ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის ფორმატი, რა გვიშლის ხელს გადავიდეთ ნატოში შესვლის გეგმის ახალ ეტაპზე – ამ კითხვებზე პასუხი არ არსებობს", – უთხრა ფიჩხაძემ „ნეზავისიმაია გაზეტას". მისი აზრით, საქართველოსთვის „ბუქარესტის პერსპექტივებიც" ჯერ ბუნდოვანია. „რა თქმა უნდა, ნატოს მორიგ სამიტზე საქართველოს საკითხს შეეხებიან, ჩვენ ხომ ინტენსიური დიალოგის სტადიაზე ვართ. მაგრამ ალიანსში შესვლისთვის მოქმედებათა გეგმაზე საქართველოს გადასვლის საკითხი საეჭვოა, რომ გადაწყდეს", – მიაჩნია ექსპერტს.

მისი აზრით, ნატოს პოზიციაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა თბილისში მომხდარმა ამბებმა, როცა ხელისუფლებამ ოპოზიციის წინააღმდეგ ძალა გამოიყენა, აგრეთვე იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულმა სკანდალებმა. „ამ სიტუაციაში ბრიუსელის პოზიციაზე არა მგონია გავლენა მოახდინოს საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად მოწყობილი პლებისციტის შედეგებმა, როცა საქართველოს ამომრჩეველთა 70 პროცენტზე მეტმა ნატოში შესვლას დაუჭირა მხარი", – მიაჩნია ფიჩხაძეს. ამ შემთხვევაში მოსახლეობის საერთო განწყობილება მხოლოდ კარგი დანამატი იქნება იმისა, თუ როგორ სრულდება ქვეყანაში ალიანსის ხელმძღვანელობის მიერ მოცემული „საშინაო დავალება". „ამ დავალებაში კი მთავარი ისევ რეფორმებია, უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიის სფეროში. სამხედრო სფეროში რეფორმები სულაც არ არის პირველ ხარისხოვანი. თავის დროზე ნატოს წარმომადგენლებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ ალიანსში მარტო საქართველოს არმია კი არა, მთელი ქვეყანა შედის. ანუ გვაგრძნობინეს, რომ ნატოს სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო, ამისგან კი საქართველო ჯერ შორსაა", – მიაჩნია არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს შალვა ფიჩხაძეს.

**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ






◎ ფორუმი

# დავოსის მუქი ფერები

**შვეიცარიის დავოსში მიმდინარე ტრადიციულად ოპტიმისტური და კონსტრუქციული ყოველწლიური მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, მიმომხილველების დასკვნით. მსოფლიო ეკონომიკის უახლოესი პერსპექტივა ერთობ არასახარბიელოა და ამის მიზეზად „დაჭრილ გიგანტს" – ამერიკის შეერთებულ შტატებს ასახელებენ, რასაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ერთხმად აღნიშნავენ.**

„ამერიკის შეერთებულ შტატებს სურდო კი არა, პნევმონია სჭირს", – ნიუ იორკელი ეკონომიკის პროფესორის ნურიელ რუბინის გამოსვლის ეს მცირედი ამონარიდი შვეიცარიელ გაზეთ La Temps-ს წინა გვერდზე აქვს გამოტანილი. პროფესორი რუბინი, რომლის გამოსვლას დავოსში სულგანაბულები ელოდნენ, ერთბაშად ცნობილი პიროვნება გახდა, რადგან ჯერ კიდევ შარშან აფრთხილებდა ფორუმის მონაწილეებს მომავალი კრიზისის საფრთხის შესახებ, მაგრამ მაშინ ყური არავინ ათხოვა.

„საქმე ის კი არ არის, ელის თუ არა ამერიკის ეკონომიკას დონის დაცემა, – თქვა მან, – მას ყველა შემთხვევაში ავარიული დაშვება ელის"და დასძინა, რომ „იპოთეკური ბუშტი" უახლოეს დროში „გასკდება" დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, ირლანდიასა და საფრანგეთში.

თეზისი იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური სისტემები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის, რადგან ამერიკის გარდა დანარჩენი მსოფლიო ეყრდნობა მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, კერძოდ, ჩინეთსა და ინდოეთს, ექსპერტებზე დიდად არ მოქმედებს. **მათი აზრით, საბირჟო მოედნებზე საერთო ვარდნა იმის დამადასტურებელია, რომ 2008 წელს ინვესტორები მსოფლიო ეკონომიკაში ვარდნისთვის ემზადებიან.**

მიუხედავად იმისა, რომ დავოსის კონგრეს-ჰოლის კულუარებში საერთო განწყობა საკმაოდ პესიმისტურია, მრავალი იქაური მიმომხილველი მძიმე ვითარების რამდენადმე შერბილებას ცდილობს. ამ აზრისა არიან ასევე ქართველი სპეციალისტებიც, თუმცა კი აღნიშნავენ, რომ ახლა ქართული „ეკონომიკის კაპიტნებს" გაცილებით მეტი სიფრთხილე და მოქნილობა (მათ შორის პოლიტიკურიცძ მართებს. ისინი აღნიშნავენ, რომ პესიმიზმისთვის საფუძველი ორი მიზეზით არ არის: პირველ ყოვლისა, **საყოველთაოდ ცნობილია, თუ ალორძინების რა დიდი ძალა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას, მეორე კი ის არის, რომ ყველაზე მეტად კრიტიკა თავად ამერიკიდან გაისმის... იმავე ხალხისგან, ვინც თავის დროზე ხოტბას ასხამდა ბრაზილიას, რუსეთს, ინდოეთსა და ჩინეთს – ანუ იმ ქვეყნებს, ვინც მსოფლიო ეკონომიკის ახალ მამოძრავებელ ძალად იქცა.** ამ ქვეყნების წარმატება ამერიკელებს მანამდე დიდად არ აღარდებდათ, თუმცა გლობალიზაციამ ძალთა თანაფარდობა შეცვალა, რის აღიარება დავოსში, როგორც ჩანს მაინც უჭირთ.

იტალიური გაზეთის La Stampa-ს კორესპონდენტი კი იმის გარკვევას ცდილობს, თუ რით ემუქრება ამერიკული კრიზისი ევროპასა და ევროპის ცენტრალურ ბანკს. მისი აზრით, **თუკი ევროპის ცენტრალური ბანკი საპროცენტო განაკვეთს დაბლა არ დაწევს, ეს უნდა გააკეთონ მთავრობებმა. თუმცა, მთელ რიგ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკის სტიმულირება სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ჯერჯერობით, ალბათ, ნაადრევია, ვინაიდან თავად ამერიკის საბანკო სისტემის მიმართ ბევრი რამ გაცხადდა, ევროპაში კი ჯერ არა.**

ამის თაობაზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციების მომავალი კარდინალური შეცვლის პირობებში, იგი აუცილებლად მიბმული იქნება საერთო ევროპულ ვალუტაზე და, ცხადია, ევროპის ცენტრალური ბანკის მოთხოვნები უნდა შეასრულოს. ამდენად, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც პარლამენტმა მალე უნდა განიხილოს და მიიღოს, დიდი გულისყურით უნდა იქნს შესწავლილი.

დავოსში ამერიკის შეერთებული შტატები „დაჭრილი გიგანტის" როლში მოგვევლინა, წერს Interhation ai Herald Trubuns, სამიტზე გამოსულმა ამერიკელმა ბანკირებმა, ეკონომისტებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მკვეთრად გააკრიტიკეს თავისი ქვეყნის მრავალი ეკონომიკური ინსტიტუტი, მათ შორის ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელმაც ამაჟამინდელ კრიზისს დასაბამი მისცა.

საქართველოში კარგად ცნობილი ჯორჯ სოროსი კი, უფრო შორსაც წავიდა და განაცხადა, რომ **ამჟამინდელი ეკონომიკური კრიზისი ბოლოს მოუღებს დოლარს, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტის მრავალწლიან სტატუსს.**

თუმცა ასე პესიმისტურად დავოსში ყველა როდია განწყობილი. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის ყოფილმა მდივანმა ჯონ სნოუმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში რეცესიაც რომ დაიწყოს, იგი „ხანმოკლე და არა საყოველთაო" იქნება, ვინაიდან ასეთია ქვეყანაში ზოგადად რეცესიების მიმდინარეობების კანონზომიერება.

ერთი კია: **დავოსში, ფაქტობრივად, ყველანი თანახმანი არიან, რომ ეკონომიკური დაცემა აუცილებლად შეეხება ევროპასაც და აზიასაც.** Morgan Stanley Asia-ს თავმჯდომარის სტივენ როუჩის აზრით, შიდა მოხმარების ბაზარი ჩინეთში არასაკმარისად დიდია, რომ უმტკივნეულოდ აითვისოს ჩინურ ექსპორტზე ამერიკელ მომხმარებელთა მოთხოვნილება.

**ეს კი, ცხადია, მარტო გიგანტებს არ შეეხება.**

**ოთარ ტურაბელიძე**

რეკლამა ქოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

# შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს (განმეორებით, 50 პროცენტი ფასდაკლებით) შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის ქონებაზე (გაკოტრების მასა)

**ქონების დახასიათება: საფრინველე კომპლექსი (განლაგებული 50 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, მდებარე გორის რ-ნ სოფ. მეჯვრისხევის ტერიტორიაზე) და სასოფლო-სამეურნეო ავტოტექნიკა.**

საწყისი გასაყიდი ფასი მთლიან ქონებაზე განაცხადის არსებობის შემთხვევაში 250000 ლარი. „ბე“ – 25000 ლარი. ბიჯი – 3000 ლარი. იმ შემთხვევაში თუ არ იქნება შემოსული განაცხადი მთლიან ქონებაზე, მოხდება მისი რეალიზაცია ცალკეულ ლოტებად:

ლოტი №1: მელანჟე, საწყისი გასაყიდი ფასი 2500 ლარი, „ბე“ 250 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №2: ფურაჟის საწყობი №1, საწყისი გასაყიდი ფასი 2000 ლარი. ბე“ 200 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №3: ფურაჟის საწყობი №2. საწყისი გასაყიდი ფასი 2200 ლარი. „ბე“ 220 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №4: კვერცხის საწყობი. საწყისი გასაყიდი ფასი 2250 ლარი. „ბე“ 225 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №5: საწიწილე (სათავსოძ №6. საწყისი გასაყიდი ფასი 1000 ლარი. „ბე“ 100 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №6: საწყობი (800 ტძ. საწყისი გასაყიდი ფასი 15000 ლარი. „ბე“ 1500 ლარი. ბიჯი 500 ლარი.

ლოტი №7: საქვაბე №1. საწყისი გასაყიდი ფასი 5000 ლარი. „ბე“ 500 ლარი. ბიჯი 500 ლარი.

ლოტი №8: საქვაბე №2. საწყისი გასაყიდი ფასი 700 ლარი. „ბე“ 100 ლარი. ბიჯი 50 ლარი.

ლოტი №9: საწიწილე №1. საწყისი გასაყიდი ფასი 4500 ლარი. „ბე“ 450 ლარი. ბიჯი 200 ლარი.

ლოტი №10: საწიწილე №2. საწყისი გასაყიდი ფასი 4500 ლარი. „ბე“ 450 ლარი. ბიჯი 200 ლარი.

ლოტი №11: საწიწილე №3. საწყისი გასაყიდი ფასი 4500 ლარი. „ბე“ 450 ლარი. ბიჯი 200 ლარი.

ლოტი №12: საწიწილე №4. საწყისი გასაყიდი ფასი 3500 ლარი. „ბე“ 350 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №13: სამრეწველო საფრინველე №21. საწყისი გასაყიდი ფასი 5500 ლარი. „ბე“ 550 ლარი. ბიჯი 200 ლარი.

ლოტი №14: სამრეწველო საფრინველე №22. საწყისი გასაყიდი ფასი 5500 ლარი. „ბე“ 550 ლარი. ბიჯი 200 ლარი.

ლოტი №15: სამრეწველო საფრინველე №23. საწყისი გასაყიდი ფასი 5500 ლარი. „ბე“ 550 ლარი. ბიჯი 200 ლარი.

ლოტი №16: სამრეწველო საფრინველე №24. საწყისი გასაყიდი ფასი 5500 ლარი. „ბე“ 550 ლარი. ბიჯი 200 ლარი.

ლოტი №17: სამრეწველო საფრინველე №25. საწყისი გასაყიდი ფასი 5000 ლარი. „ბე“ 500 ლარი. ბიჯი 200 ლარი.

ლოტი №18: სამრეწველო საფრინველე №26. საწყისი გასაყიდი ფასი 5500 ლარი. „ბე“ 550 ლარი. ბიჯი 200 ლარი.

ლოტი №19: სამრეწველო საფრინველე №28. საწყისი გასაყიდი ფასი 6800 ლარი. „ბე“ 680 ლარი. ბიჯი 200 ლარი.

ლოტი №20: სამრეწველო საფრინველე №40. საწყისი გასაყიდი ფასი 7800 ლარი. „ბე“ 780 ლარი. ბიჯი 200 ლარი.

ლოტი №21. სამრეწველო საფრინველე №19. საწყისი გასაყიდი ფასი 4100 ლარი. „ბე“ 410 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №22: სამრეწველო საფრინველე №60. საწყისი გასაყიდი ფასი 7800 ლარი. „ბე“ 780 ლარი. ბიჯი 200 ლარი.

ლოტი №23: საფრინველე (№9 ცეხი ქ/გ.ძ საწყისი გასაყიდი ფასი 4700 ლარი. „ბე“ 470 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №24: საწიწილე №7. საწყისი გასაყიდი ფასი 3000 ლარი. „ბე“ 300 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №25. საწიწილე №10. საწყისი გასაყიდი ფასი 4000 ლარი. „ბე“ 400 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №26. საწიწილე №11. საწყისი გასაყიდი ფასი 2800 ლარი. „ბე“ 280 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №27: საწიწილე №15. საწყისი გასაყიდი ფასი 4500 ლარი. „ბე“ 450 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №28: საწიწილე (გამოსაზრდელი ქ/გ.ძ. საწყისი გასაყიდი ფასი 3200 ლარი. „ბე“ 320 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №29. საწიწილე (გამოსაზრდელი ქ/გძ.. საწყისი გასაყიდი ფასი 3500 ლარი. „ბე“ 350 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №30: სკოლა მედ. პუნქტი (დასახლძ. საწყისი გასაყიდი ფასი 4500 ლარი. „ბე“ 450 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №31: კლუბ სასადილო (დასახლძ. საწყისი გასაყიდი ფასი 7000 ლარი. „ბე“ 700 ლარი. ბიჯი 500 ლარი.

ლოტი №32: სათად. ნაწ. საწყობი (სარემონტო სახელოსნოძ. საწყისი გასაყიდი ფასი 4200 ლარი. „ბე“ 420 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №33. სახალხო სახლი (დასახლძ. საწყისი გასაყიდი ფასი – ლარი. „ბე“ – ლარი. ბიჯი – ლარი (შენიშვნა: გაყიდულია აუქციონზე 2003 წელსძ.

ლოტი №34: დამხმ. მეურნეობა (დასახლძ. საწყისი გასაყიდი ფასი 700 ლარი. „ბე“ 70 ლარი. ბიჯი 50 ლარი.

ლოტი №35: ადმ. სახლი (ქ/გძ. საწყისი გასაყიდი ფასი 1000 ლარი. „ბე“ 100 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №36: ნედლეულის საწყობი (ქ/გძ. საწყისი გასაყიდი ფასი 1400 ლარი. „ბე“ 140 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №37: სალორე-ბოსელი (ქ/გძ საწყისი გასაყიდი ფასი 500 ლარი. „ბე“ 50 ლარი. ბიჯი 50 ლარი.

ლოტი №38: ნაგებობები (სამაზუთე, წყლის მიწოდების სისტემა, გრა №1-№2, ტერიტორიის შემოღობვა, კვამლსადენი მილი, კანალიზაცია, ბინების კეთილმოწყობა, კალათბურთის მოედანიძ. საწყისი გასაყიდი ფასი 63000 ლარი. „ბე“ 6300 ლარი. ბიჯი 3000 ლარი.

ლოტი №39: სამაზუთე 2 ც (400 ტძ. საწყისი გასაყიდი ფასი 3500 ლარი. „ბე“ 350 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №40. სატრანსპორტო საშუალებები:

ა/მ კამაზი-5320, ალკა (5410-ის მისაბმელიძ 2 ც. ა/მ ზილ-130 3 ერთ. (თვითმცლელი, ზ.ს.კ. ზ.ს.კძ, ა/მ გაზ-53 3 ერთ. (ცისტერნა, სახანძრო, თვითმცლელიძ.

ა/მ გაზ-52 (რეფრეჟერატორიძ, ავტობუსი კავზ/685. რ.ჟ.ტ ა/მ „ავია“ საწყისი გასაყიდი ფასი 4000 ლარი, „ბე“ 400 ლარი. ბიჯი 500 ლარი.

ლოტი №41: სატრაქტორო საშუალებები: ტრაქტორი მტზ-80 2 ერთ, ტრაქტორი ტ-25, ტრაქტორი მტზ-82, ტრაქტორი ტ-16 4 ერთ, ტრაქტორი ტ-150, ტრაქტორი იუმზ-6 (ექსკავატორიძ, ტრაქტორი დტ-75, ავტომისაბმელი 2 ერთ. ტრაქტორის მისაბმელი. საწყისი გასაყიდი ფასი 3000 ლარი. „ბე“ 300 ლარი. ბიჯი 500 ლარი.

ლოტი №42: მანქანა-დანადგარები (სამაცივრე, თბოგენერატორი, საწიწილე დანადგარი, ინკუბატორი, სამრეწველო საფრინველეს კბრ შემადგენელი ნაწილები და სხვაძ. საწყისი გასაყიდი ფასი 19000 ლარი. „ბე“ 1900 ლარი. ბიჯი 500 ლარი.

ლოტი №43: საინვენტარო მოწყობილობები (სასწორი, ცომის საზელი, ჭის მოწყობილობა და სხვაძ. საწყისი გასაყიდი ფასი 2500 ლარი. „ბე“ 250 ლარი. ბიჯი 100 ლარი.

ლოტი №44: ძროხა. საწყისი გასაყიდი ფასი 200 ლარი, „ბე“ 20 ლარი. ბიჯი 20 ლარი.

**შენიშვნა:** ობიექტის ღირებულებაში არ შედის დაკავებული მიწის ფართის ღირებულება, რომელიც გადახდილი უნდა იქნას დამატებით (1 კვმ 1,2 ლარიძ დაკავებული ფართის შესაბამისად. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი ფასისა, „ბიჯი“-ს გათვალისწინებითძ გადახდა.

ანგარიში №246881000. კოდი 220101502. სს „საქართველოს ბანკის“ გორის ფილიალი, ირაკლი ხაჩიძე – შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ გაკოტრების მმართველი.

აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი: 08.02.08 წ. 11 სთ. გორის რ-ნი, სოფ. მეჯვრისხევი. შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორი“-ს ყოფილი ადმ. შენობა. განცხადებების მიღების ვადაა 30.01.08 წ.-07.02.08 წ. 10-დან 17 საათამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაციისას უნდა წარადგინონ:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ;
2. „ბე“-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელითძ;
5. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს და მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის შესახებ.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: გორის რ-ნი, სოფ. მეჯვრისხევი, შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორი“-ს. ყოფილ ადმ. შენობა. ტ: 899 246006.

**ი. ხაჩიძე**
**გაკოტრების მმართველი**

## საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
## განკარგულება №43

2007 წლის 24 იანვარი ქ. თბილისი

### სს „სტანდარტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის № 414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. სს „სტანდარტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის № 414 განკარგულების პირველ პუნქტში შევიდეს შემდეგი ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სს „სტანდარტბანკში“ დაინიშნოს დროებითი ადმინისტრაცია 2007 წლის 24 ნოემბრიდან 2008 წლის 24 თებერვლის ჩათვლით..“

2. საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა (გ. კალანდაძეძ უზრუნველყოს აღნიშნული განკარგულების ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მისი ხელმოწერის დღიდან.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (სარაჯიშვილის ქ. № 1აძ.

**პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი**
**დ. ამაღლობელი**

**შპს „ასლან ჯგუფი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: მე-2 ნადიკვარის ქუჩა №12, ტელ: 72-07-63.**

## განცხადება

**შპს „პენტა თრეიდინგი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: თბილისი, ონიაშვილის ქ.№40, დამფუძნებელი რ.მალაები ტელ: 877.54.54.41.**

№ 17. ოთხშაბათი, 30 იანვარი, 2008 წელი.

● ბოლო წლებში ქართველი ძიუდოისტების ნაჩვენები შედეგები იმის საწინდარია, რომ ისინი პეკინის ოლიმპიადიდანაც ხელდამშვენებული დაბრუნდებიან. დასტურად თბილისის მსოფლიო თასის გათამაშებაც გამოდგება. ბედნიერებაა, ერთ წონაში სამი თანაბარი ძალის ფალავანი რომ გეყოლება, მათ შორის ორი – ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი

◎ მოვლენის შემდეგ

# ბედნიერებაა, ერთ წონაში სამი თანაბარი ძალის ფალავანი რომ გეყოლება

**უკვე გაუწყეთ, რომ გასულ უქმეებზე თბილისის სპორტის სასახლემ ძიუდოისტთა მსოფლიო თასის გათამაშებას უმასპინძლა. შეჯიბრებაში**



**42 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საპატიო სტუმართა შორის გახლდათ ევროპის ძიუდოს კავშირის პრეზიდენტი სერგეი სოლოვეიჩიკი.**

– თბილისის ტურნირი წლიდან წლამდე უფრო ორგანიზებული და საინტერესო ხდება, – გვითხრა მან. – უწინ მეტად ქართველი ხალხის სითბოთი და გულითადობით გავდიოდით ფონს, ახლა ამას მატერიალური უზრუნველყოფაც დაემატა, რაც მომავალი გამარჯვებების საწინდარია.

სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ერთ-ერთი უზრუნველყოფილი ორგანიზაციაა და ეს აშკარად ეტყობა ნაკრების გამოსვლებს. რომ არაფერი ვთქვათ პირად პირველობებზე, მსოფლიო და ევროპის გუნდური ჩემპიონობა, მოგეხსენებათ, თავისით არ მოდის. ბოლო წლებში ქართველი ძიუდოისტების ნაჩვენები შედეგები იმის საწინდარია, რომ ისინი პეკინის ოლიმპიადიდანაც ხელდამშვენებული დაბრუნდებიან. დასტურად თბილისის მსოფლიო თასის გათამაშებაც გამოდგება. ბედნიერებაა, ერთ წონაში სამი თანაბარი ძალის ფალავანი რომ გეყოლება, მათ შორის ორი – ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი.

**– გაისად თბილისი ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობას აპირებს. ამ მოვლენის შესახებ რას იტყოდით?**

– ქართველმა ძიუდოისტებმა თავიანთი წარმატებებითა და მაყურებლებმა გულითადი ქომაგობით დაიმსახურეს ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრების მასპინძლობის უფლება. პარიზის ტურნირის გარდა, მსოფლიო თასი ამდენ გულშემატკივარს ხომ ვერსად იზიდავს. თანაც ქართველებს უმაღლეს დონეზე შეუძლიათ თითოეული ღონისძიების მოწყობა. ვესაუბრე საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ დილარ ხაბულიანს და დავრწმუნდი, რომ 2009 წლის ევროპის ჩემპიონატი დღემდე გამართუ-



ლი ამ რანგის შეჯიბრებათაგან საუკეთესო იქნება. საამისოდ ყველა პირობა არსებობს, მათ შორის კომფორტული დარბაზი, სადაც სითბო და ქომაგობა არ მოგვაკლდება.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

**სურათზე: სერგეი სოლოვეიჩიკი (მარცხნივ) და დილარ ხაბულიანი**
**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

◎ ჭიდაობა



**ბათუმში ორ დღეს გრძელდებოდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც ავადმყოფობის გამო ვერ იასპარეზა ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა ლუკა კურტანიძემ, არადა, ამ შეჯიბრებას კურტანიძე-გიორგი გოგშელიძის შერკინება დაძაბულობას და, რაც მთავარია, მეტ ინტრიგას შემატებდა, რადგან 96 კილოში ჩვენგან პეკინის ოლიმპიადის საგზურის მომპოვებელი და ჩინეთის დედაქალაქში წამსვლელი სწორედ ამ ორ სახელოვან ფალავანს შორის უნდა შეირჩეს.**

საგულისხმოა ისიც, რომ ჩემპიონატის მსვლელობისას ორი ორთაბრძოლის შემდეგ ტრავმის გამო კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას

## „თავისუფლები“ „კლასიკოსებმა“ შეცვალეს

ჩამოშორდა მსოფლიო ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი.

აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი, ოლიმპიური თამაშების ლიცენზიატი ოთარ თუშიშვილი საპატიო მიზეზის გამო ხალიჩაზე არ გამოსულა, ხოლო ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანმა გელა სალირაშვილმა 74-ის ნაცვლად 84 კილოში იასპარეზა და საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა.

**აქვე გაუწყებთ ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:**

**55 კგ.** 1. ბესიკ გუჩაშვილი (გორი), 2. კოკა კოტორაშვილი, 3. ლევან მეტრეველი (ორივე – თბილისი) და ამირან ელბაქიძე (გორი).

**60 კგ.** 1. მალხაზ ქურდიანი (თბილისი), 2. გიორგი მაყიშვილი, 3. გიორგი ბალიაშვილი (ორივე – გორი) და მალხაზ ზარქუა (აფხაზეთი).

**66 კგ.** 1. კობა კაკალაძე (აჭარა), 2. მიხეილ ზარქუა (თბილისი), 3. პაატა ნოზაძე (თბილისი) და გიორგი ცუცქირიძე (ქუთაისი).

**74 კგ.** 1. ალექსი პატარქალიშვილი (თბილისი), 2. გიორგი მარსაგიშვილი (ყაზბეგი), 3.იაკობ მაჭარაშვილი და გიორგი სანოძე (ორივე – თბილისი).

**84 კგ.** 1. არჩილ ქიტიაშვილი (გურჯაანი), 2. გელა სალირაშვილი (თბილისი), 3. ირაკლი მარსაგიშვილი და თამაზ მელაძე (ორივე – ყაზბეგი).

**96 კგ.** 1. გიორგი გოგშელიძე (გორი), 2. ბელდუხ გავაშელი, 3. მიხეილ ბაგაური და დაჩი ქერაშვილი (სამივე – თბილისი).

**120 კგ.** 1. დავით მოძმანაშვილი (თბილისი), 2. ლაზარა მარსაგიშვილი (ყაზბეგი), ლევან ბერიანიძე (აფხაზეთი) და დავით ოთიაშვილი (თბილისი).

**გუშინ შეჯიბრებაში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ჩაებნენ.**

◎ სუმო

## იღბლიანი ბაშო



**ტოკიოში დამთავრდა სუმოისტთა იანვრის ბაშო, რომელშიც სამი ქართველი ათლეტი მონაწილეობდა, ოღონდ სხვადასხვა დივიზიონში.**

აღმოსავლეთის მეცხრე მაეგაშირა კოკაიმ („შავი ზღვა“) უმაღლესი დივიზიონის ბაშო 9 მოგებით (6 მარცხით) დაასრულა და მარტის ტურნირს უფრო მაღალი რანგით შეხვდება. იმპერატორის თასი კი მეექვსედ მოიპოვა ჰაკუჰომ, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში ლეგენდარულ ასაშორიუს სძლია.

მეორე ელიტური დივიზიონის – ძურიოს ჩემპიონი გახდა 20 წლის ლევან გორგაძე – 191 სანტიმეტრი სიმაღლის ტოჩინოშინი (იგი 145 კილოს იწონის). მან ტიტული 12 მოგებითა და 3 წაგებით დაიმსახურა. საგულისხმოა, რომ ხუთი წლის წინათ მსგავს წარმატებას მიაღწია კოკაიმ (ლევან ცაგურია), რომელმაც 14-1 ბალანსით გაიმარჯვა.

თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ) მესამე დივიზიონ მაკუშიტაში გამოდიოდა. 4 გამარჯვება და 3 მარცხი – ასეთია მისი საბოლოო შედეგი.

◎ ფიგურული ციგურაობა

## ამჯერად – მეშვიდეზე

**ორი წლის წინათ 16 წლის თბილისელმა მოციგურავემ ელენე გედევანიშვილმა თავისთვის სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავა, რითაც სპორტის ამ სახეობის მესვეურები და ქომაგები გააკვირვა.** შარშან ელენე მერვე ადგილს დასჯერდა, გასულ უქმეებზე კი ზაგრებში (ხორვატეთი) 147,09 ქულით მეშვიდე ადგილზე გავიდა. 171,28 ქულით კონტინენტის ჩემპიონის ტიტული იტალიელმა კაროლინა კოსტნერმა შეინარჩუნა. მომდევნო ადგილებზე არიან: 2. სარა მაიერი (შვეიცარია, 169,44), 3. ლაურა ლეპისტო (ფინეთი, 165,65), 4. იულია შებეშჩენი (უნგრეთი, 162,89), 5. კიირა კორპი (ფინეთი, 162,22), 6. ვალენტინა მარკეი (იტალია, 153,34).



**წინ მსოფლიო ჩემპიონატია.**

◎ ორბიტაზე

## ოლიმპიური „წყლის კუბი“

**მწყობრში ჩადგა პეკინის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მთავარი სპორტული ნაგებობა – სპორტის საწყლო სახეობების სასახლე – „წყლის კუბი“.**



როგორც იტყობინებიან, ეს დიდებული სასახლე ააშენეს ჰონკონგში, მაკაოსა და ტაივანზე მცხოვრებ თანამემამულეების შემოწირულობებით, რამაც საერთო ჯამში 140 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც მთელი ხარჯების თითქმის 90 პროცენტია. ერთდროულად იქ შეიძლება გაიმართოს შეჯიბრებები ცურვაში, სინქრონულ ცურვასა და წყალში ხტომაში.

ახალი სასახლე, 17 ათას მაყურებელზე რომაა გათვალისწინებული, მთავარი ოლიმპიური სტადიონის „ჩიტის ბუდის“ პირდაპირაა. ის ცისფერი ბუშტებით სავსე კვადრატულ აკვარიუმს წააგავს, საცურაო აუზის სიღრმე 13 მეტრია.

## გაფხეკილი ჯიბეებით

**ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე სოფიის ცსკას, ბულგარეთის პრემიერ-ლიგის ლიდერის, ფეხბურთელები მინდორზე ჩვეულებრივზე 30 წუთის დაგვიანებით გამოვიდნენ, გაზონზე გამოსულ ფეხბურთელებს ჯიბეები გადმობრუნებული უჩანდათ, დაგვიანებული ხელფასების საპროტესტოდ.**

– ვიმედოვნებ, კლუბის ხელმძღვანელობა მალე გადაწყვეტს პრობლემას, – თქვა არმიელთა კაპიტანმა ალექსანდრე ტუნჩევმა, – მზად ვართ ჩემპიონატის მოსაგებად, ჩემპიონთა ლიგაში სათამაშოდ, ოღონდ არ მოგვატყუონ.

– მე დავსაჯი ამ აქციის ორგანიზატორებს, მთელ გუნდსაც კი, – თქვა ცსკას პრეზიდენტმა ალექსანდრე ტიმოვმა.

## მამის კვალზე?

**დიეგო მარადონა-უმცროსმა აპენინებზე D სერიაში (სამოყვარულო ლიგა) რომ თამაშობს, საჯარიმო დარტყმით გაიტანა ულამაზესი გოლი. ეს საჯარიმო მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნიდან 30 მეტრის მოშორებით დაინიშნა.**



უმცროსმა დიეგომ „ვენაფროს“ ღირსებას რომ იცავს, გაიმეორა მამამისის ბრწყინვალე გოლი, 1985-86 წლების სეზონში „ნაპოლი“-„ვერონას“ მატჩში რომ გაიტანა. იმ სეზონში მარადონამ „ნაპოლი“ სკუდეტომდე მიიყვანა. მისი 21 წლის შვილი კი ოცნებობს C 1 ან C 2 დივიზიონში გადასვლაზე.

№ 17. ოთხშაბათი, 30 იანვარი, 2008 წელი.

№ 17. ოთხშაბათი, 30 იანვარი, 2008 წელი.

## უბის წიგნაკიდან

● მოვარდისფრო-მოთეთრო კვამლში ვეხვევით. ონისე რაღაცას მეუბნება ფრანგულად. ქვევით მოედნისკენ იხედება. ნარინჯისფერმოსასხამებიანი სპეცრაზმელები ფილარმონიისკენ მიერეკებიან ხალხს, ზოგან ხელჩართული ბრძოლაცაა



◉ სევდიანი ჩანაწერებიდან

# ონისემ უკვე ისწავლა ქართული!

**მამუკა ვაშაკიძე**

## ამბების კრიალოსანი

ონისე ჩამოვიდა, ჩემი უმცროსი ვაჟი – პარიზში დაბადებული და გაზრდილი. პირველადაა თავის სამშობლოში (ეს სულ სხვა თემაა, ასე ინება უფალმაძ. მე ჩემი დარდი მაქვს, ბობოქრობს საქართველო, თბილისი, „ნოემბრის აქციებია“, უკმაყოფილო ხალხი პარლამენტის წინაა შეკრებილი, ღამეებს ვათენებთ, მთელი დასავლეთ-აღმოსავლეთი დედაქალაქისკენ დაიძრა. ნანატრი შვილი კი დედამისმა ამ არეულობაში ჩამომიყვანა ორიოდ დღით.

რუსთაველზე ვხვდებით ერთმანეთს მამა-შვილი, ორივენი ნაუცბათევად ნასწავლი ქართულ-ფრანგულით.

„მამა!“

„ონისე!“

ეს ორივე ენაზე ერთნაირად ჟღერს.

შევთანხმდით – მე და ონისე ერთად გავისეირნებდით, დედამისი მეგობარ გოგონას ესტუმრება, სულ ერთი საათით, შემდეგ კი ბიჭს სადმე წავიყვანთ და თარჯიმნობას დედამისი გაგვიწევს.

„ეგ არაფერს მოგთხოვს, ისე, ძალიან უყვარს „ფანტა“, თავისებური ბიჭია, – საიდუმლოს მიმხელს დედამისი, – თუ რამეა, დამირეკე“.

პროსპექტს გავუყევით, დილით მომიტინგეები დაგვარბიეს, იქ ვიყავი, მაგრამ არა მგონია აქამდეც თუ ამოვლენ. ის იყო რუსთაველის ძეგლის თვალიერებას მორჩა ონისე, რომ ხალხის ტალღა ჩვენსკენ წამოვიდა, ისმის ყვირილი, გინება, სროლის ხმა, ცრემლსადენი გაზის კვამლი ხან სად გაიშლება, ხან სად.

ონისე გაოცებული ამომყურებს. სასწრაფოდ ვიხსნი თეთრ ყელსახვევს (ოპოზიციონერთა ერთ-ერთ სიმბოლოსძ და სახეზე ვაფარებ ბავშვს.

„ონისე, წავედით!“

უკვე მავიწყდება სახელდახელოდ ნასწავლი ფრანგული და მეტროს მხარეს გავრბივართ. თავზე რაღაცამ გადამიფრინა, ათიოდე მეტრში ჩემს წინ სკდება. მოვარდისფრო-მოთეთრო კვამლში ვეხვევით. ონისე ხელში ამყავს, მძიმეა, მაგრამ მაინც ვცდილობ გავიქცე ზანდუკელის ქუჩისკენ. ფილტვები დამებერა, ველარ ვსუნთქავ. ონისე რაღაცას მეუბნება ფრანგულად, შემდეგ ისეთ მოძრაობას აკეთებს ჩემს მკლავებში, რომ ვხვდები დაბლა უნდა დავსვა. ახლა ხელჩაკიდებული მომყვება და ქვევით მოედნისკენ იხედება. ნარინჯისფერმოსასხამებიანი სპეცრაზმელები ფილარმონიისკენ მიერეკებიან ხალხს, ზოგან ხელჩართული ბრძოლაცაა. სუნთქვა აღარ მიჭირს, მაგრამ ახლა ცრემლები წამსკდა, ხველა ამივარდა. ერთი სული მაქვს, ონისეს დედას დავურეკო. ძლივძლივობით ვპოულობ მის ნომერს. ბეჭებში რაღაც მხვდება და ძირს ვარდება. ონისე რეზინის ტყვიას იღებს და ათვალიერებს. შორიდანაა ნასროლი, ამიტომაც არ მეტკინა.

„შენ გქონდეს, სახსოვრად“, – ქართულად ვეუბნები.

კიდევ კარგი მპასუხობს მობილურზე დედამისი – ათ წუთში უნივერსიტეტის წინ ვიქნებიო. ონისეს შევხედე. აკრული პირისახიდან მხოლოდ ბრიალა თვალები უჩანს, ბრდღვიალა, გადასალტული წარბებით, მაგრამ არა გაოცებული, არა შეშინებული, არა ატირებული, თვალები სიამაყის, არშეშინების გამო აბრიალებული. ეს მე დავინახე... მამამ. და ახლა მართლაც ცრემლები წამომივიდა.

ცრემლსადენ გაზს გულმა აჯობა.

ონისეს თვალი მოვარიდე, შემდეგ თვალებში ვაკოცე და ზემო ვერას ავუყევით.

დედამისი აზრზე არ არის, რა მოხდა, მხოლოდ ის უკვირს, ასე მალე რატომ შევწყვიტეთ „სეირნობა“.

„ჩავჯექით ტაქსში და საღამოს დაგირეკავთ“. ონისე დედას რაღაცას უყვება, თან ხელებს იშველიებს. დედამისს ეცინება. „სუფთა ჟიულ ვერნია, ფანტაზიორი“. შემდეგ ტაქსში სხდებიან და ხელს მიქნევენ.

„კარგად, მამა!“

„ორევუარ, ონისე!“

* * *

სახლში გვიან ღამით ვბრუნდები. ჩემი უფროსი ვაჟი, ავთანდილი ტახტზე წამოწოლილა, იქვე მისი ახალშერთული მეუღლე, ჩემი რძალი უზის, მეორე ტახტზე შუათანა ვაჟი ბექარი წევს, დედაჩემი მაგიდასთან ზის, სამზარეულოში მეუღლე ტრიალებს. რაღაც უცნაური სიჩუმეა. ვბრაზდები, ასე მშვიდად რომ არიან, ვბრაზდები მათ იდილიაზე.

„მა, ნახე ონისე?“ – მეკითხება ბექარი.

„ვნახე!“... – ძალისძალად მივუგდე სიტყვა.

დედაჩემს ეღიმება, რაღაც უცნაურად. ასე მაშინ იღიმის, როცა ჩემი ბიჭები რამეს დააშავებენ.

ეღიმება ჩემს რძალსაც.

„რას იცინით, მოხდა რამე?“

„ტელევიზორს არ უყურებ, როგორ ჟეჟეს შენი ბიჭი?“ – და ავთანდილისკენ იხედება.

პიჯაკს ვიხდი. ავთანდილი ძლივს გადატრიალდა ტახტიდან. „მე და ჩემი ძმაკაცი წინ ვიდექით. წყალი, რომ გამოუშვეს ძირს დავეცით, მერე „დუბინკებით“ გვცემეს“.

„უხ, მაგათი დედა...“ – თავზე გადავუსვი ხელი.

ახლა ბექარიც მოვიდა იშტაზე, რახან კარგ ხასიათზე დავდექი, მანაც მოხსნა გუდას პირი.

„ჩვენ რიყეზე წავედით, მერე იქრო დაგვერივნენ, სამებისკენ გავიქეცით. ეკლესიამდე გვსდიეს, ძლივს შევასწარით...“

„ნახე, თვალი, რომ ამოეგდოთ, რა მეშველებოდა, მაგათი კუზო დაიდგან დედამისებმა“, – ცხოვრებაში პირველად იწყევლება დედაჩემი.

ბექარს საფეთქელთან ჩალურჯებული კოპი აზის.

ახლა ბექარს ვეფერები.

„ეფერე, ეფერე, რომ დახოცილიყვნენ, მერე?“ – სამზარეულოდან გამოდის ჩემი მეუღლე.

„დედა, ღვინო გვაქვს?“ – ვეკითხები დედაჩემს.

სუფრას შლიან. სამი ჭიქა გამომაქვს.

„ახლა, დაალევინებს ბავშვებს, რა დროს მაგათი ღვინოა!“ – ბუზღუნებს დედაჩემი.

„ცოლი რომ მოიყვანა, ბავშვი არ იყო?“ – ჭიქებს ვავსებ მე.

ფეხზე ვდგები და...

„სააკაშვილს და მერაბიშვილს გაუმარჯოს, თქვენი ვაჟკაცობა რომ დამანახეს სიცოცხლეში, ასე ვიაროთ, შვილებო!“ – ვსვამ და შემდეგ ონისეს ამბავს ვუყვები.

„მა, ონისემ ქართული არ იცის?“ – მეკითხება ბექარი.

ჩემი მეუღლე, ამ საუბრით უკმაყოფილო, ისევ სამზარეულოში გადის. ბიჭებს ეღიმებათ.

„ონისემ უკვე ისწავლა ქართული“.

---

# თოვლი მოსულა, ჩუბჩიკ!

პირველი თოვლი მოვიდა თბილისში. ფიფქავს ხვავრიელად, დიდი ხანია, ამგვარად არ გადათეთრებულა ქალაქი, ამგვარად არ მოყინულ-მოლიპულა ქუჩები. გავლა ჭირს. მანქანები, გარდა „საარჩევნო კარუსელში“ მონაწილე მიკროავტობუსებისა, კანტიკუნტად დადიან. ხალხი მძიმედ მიაბიჯებს საარჩევნო უბნებისაკენ.





„მაინც გააყალბებენ...“

„ჩვენ მივიდეთ და...“

„პენსიას მოგიმატებთო, ვაუჩერებს მოგცემთო...“

„კაი ბიჭი ჩანს გაჩეჩილაძე...“

„აპა, იგიც კაი ბიჭი ჩანდა და გვიტირა ყოფა...“

„გაყიდეს საქართველო, ოღონდ ბოკერიები და ნადირაძეები აღარ დავინახო და თუ გინდა ეშმაკს მივცემ ხმას...“

„მე მაინც სააკაშვილი მეიმედება. დალვინდება, ისწავლის ჭკუას და მოიცილებს ალბათ ამ არამზადებს, გვერდში რომ ჰყავს...“

„ეჰ, რას მოიშორებს, ჩიტივით ჰყავთ გამოჭერილი გალიაში...“

ისმის აქეთ-იქიდან. მიდიან ჩაფიქრებულნი, მომღიმარნი, იმედიანნი, უიმედონი, მაგრამ მაინც მიდიან.

* *

ჩვენც მივდივართ, აღმართს მივუყვებით მოლიპულ ქუჩაზე, მივდივართ დათოვლილები, ერთმანეთს ვუფრთხილდებით, მოლიპულზე ფეხი რომ არ დაგვისხლტეს. მივდივართ გულდამძიმებულნი... დღეს ჩვენ ჩუბჩიკას – დიდ მხატვარს – თენგიზ მირზაშვილს ვკრძალავთ. მივდივართ ცრემლიანები...

ნეტა როგორ დახატავდა ამ პირველ თოვლს ჩვენი ჩუბჩიკა?

---

# ლორთქი... ლორთქი გარდაიცვალა!



ბავშვობიდან ერთად მოდიოდნენ, ძმაკაც-მეგობრობის გარდა შემდგომში დანათესავდნენ კიდეც. ძირძველი, ნაღდი თბილისელებისთვის კოია (გურამ გომართელიძ და ლორთქია (გურამ ლორთქიფანიძეძ განუყრელნი იყვნენ ერთმანეთისგან. ასე მოდიოდა აქამომდის.

„ლორთქი, ჩემთან გადმოდი“...

„კოია, აქა ვართ რესტორანში, გამოდი...“

„ლორთქი, ბათუმში მივდივართ...“

„კოია, ძმაკაცი გარდაგვეცვალა...“

ეს ფრაზა ბოლოს გახდა ერთმანეთს შორის შეხმიანების საბაბი, ბოლოს, როდესაც სამოცდაათს გადააბიჯეს, თმები შეევერცხლათ, ხმაში ბზარი გაუჩნდათ, ნაბიჯები დაუმძიმდათ ცნობილ თბილისელებს, ქალაქის კოლორიტებს.

ბოლოს...

ბოლოს, როდესაც თითო-თითოდ ეცლებოდნენ გვერდიდან ბავშვობიდან შეზრდილი ძმები, სიყრმის მეგობრები...

დაურეკავდნენ კოიას, ცუდ ამბავს შეატყობინებდნენ, კოია ლორთქის ურეკავდა იმავ წუთს და პირიქით.

ამ შობის ღამესაც ასე მოხდა.

„კოია, ლორთქი აღარ არის“...

და კოიამაც ჩვეულებისამებრ ლორთქის ნომერი აკრიფა – რათა... ლორთქისთვის ეთქვა... შემდეგ ყურმილი ხელიდან გაუვარდა.

* *

რამდენიმე საათში ვერის უბანში ვიდექით „ლორთქის სახლთან“.

ამ ამბავს ბავშვივით ატირებული კოია ლორთქის ხის აივანზე მიყვებოდა.

● „შარდენის ქუჩაზე დაიდგმება სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის ხსოვნის მემორიალი“, თუმცა ქალაქის მუნიციპალიტეტს ჯერ ოფიციალური თანხმობა არ მოუცია“



◎ გუშინწინ შარდენის ქუჩაზე

# სიკვდილი, რომელმაც ბევრ რამეზე თვალი აგვიხილა




შარდენის ქუჩა საქვეყნოდ ცნობილი გახადა სანდრო გირგვლიანის ტრაგედიამ... გუშინწინ ორი წელი გავიდა ამ ტრაგედიიდან და, რა თქმა უნდა, ახლობლებმა და მეგობრებმა შარდენის ქუჩის სიმყუდროვეში აღნიშნეს კიდეც ეს სევდიანი თარიღი...

გირგვლიანებსა და ენუქიძეებს, არც გაჰკვირვებიათ, რომ გვერდში edგნენ ბუტა რობაქიძისა და ზურა ვაზაგაშვილის ოჯახის წევრები, ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ისინი საუბრობდნენ უსამართლობაზე, რასაც ხელისუფლება იჩენს სანდრო გირგვლიანის ავაზაკური მკვლელობის ძიებისას. „სანდრო გირგვლიანი შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის მეუღლის დაკვეთით მოკლეს, სააკაშვილი კი მერაბიშვილს უკვე მესამედ უცხადებს ნდობას მინისტრის თანამდებობაზე“, — ამბობს ამ ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი, „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი ლაშა ჩხარტიშვილი, — აი, გავხსენით მემორიალური დაფა წარწერით: „აქ დაიდგმება სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის ხსოვნის მემორიალი“, თუმცა ქალაქის მუნიციპალიტეტს ჯერ ოფიციალური თანხმობა არ მოუცია“.




... აი, გულმდუღარე მამა სანდროსი — გურამ გირგვლიანი, აი, დაუძლურებული პაპა და ბებო — ბატონი ჯიმშერი და ქალბატონი ეთერი, აი, ერთიანად გაჭაღარავებული ბიძა — გოგი ენუქიძე... ამ ადამიანებისთვის ახლა ალბათ სულერთია ძეგლი მიეძღვნება თუ წიგნი სანდროს და ირინას, თუმცა, რაღა თქმა უნდა, მაინც გულს ეფონება, როდესაც ხედავ და ისმენ, რა სასოებით საუბრობენ უბედურ დედაშვილზე სრულიად უცნობი ადამიანებიც კი.

მათმა სიკვდილმა ხომ ცოცხლებს ბევრ უმსგავსობაზე თვალები აგვიხილა.

ვილენ მარდალეიშვილი

გახსენება

## დომენტი გერგიშვილი



საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთიმეორეზე უკეთესი საკუთარი კორესპონდენტები ჰყავდა გაზეთ „კომუნისტს“ — ნაღდი კაცები, შესანიშნავი კალმოსნები... დომენტი გერგიშვილი გამორჩეული იყო მათ შორის, იგი თელავიდან კახეთის ამბებს გვაწვდიდა და სულსა და გულს აქსოვდა ნაწერში. დომენტის თელავის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, ხუთი თითივით იცნობდა კახეთის წარსულსა და აწმყოს, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, პირდაპირი, პრინციპული კაცი იყო, რაც მაინცდამაინც არ მოსწონდათ რაიკომებისა და ალმასკომების ხელმძღვანელებს. სამაგიეროდ, ხალხს უყვარდა მისი ნაწერები... დამოუკიდებელ საქართველოში, 1990 წლიდან 2005 წლამდე დომენტი გერგიშვილი თელავის სოციუზრუნველყოფის განყოფილების გამგედ მუშაობდა, აქაც თავისი მშობელი ხალხის ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობდა. ამიტომაც დიდად დაამწუხრა მთელი თელავი ბატონი დომენტის გარდაცვალებამ, ამიტომაც მიაგო მას პატივი მთელმა რაიონმა, ყველამ, ვინც მას იცნობდა...

ამასობაში 40 დღე გასულა მისი გარდაცვალებიდან, ჩვენი დომენტი უკვე ზეციურ საქართველოშია...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს!..

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია



საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის აკადემიკოსის, სახელმწიფო და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ახალგაზრდა მხატვართა მომზადებისა და აღზრდის ორგანიზატორის, მაღალზნეობრივი მამულიშვილის

თემო თურმანიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 30 I, 16 სთ. დაკრძალვა 31 I, 14 სთ. მისამართი: ყიფშიძის ქ. №8, მე-2 სადარბაზო, მე-12 სართული.

---



მეუღლე ირინა, შვილები ბაბულია, მარინა, სიძეები ვალერი დოლია, ევგენი ჩიქოვანი, შვილიშვილები გიორგი, გოგი, ნიკუშა იუწყებიან, რომ 2008 წლის 25 იანვარს 81 წლის ასაკში კალიფორნიაში გარდაიცვალა

ოთარ გვახარია

---

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი თანაგრძნობას უცხადებს გია მარსაგიშვილს დედის

იულია მარსაგიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გოდერძი ბუკია ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ საგანელიძეს მამის

აკაკის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

## საზოგადოებრივი მაუწყებელი ხალხს უნდა გადაეცეს

ლეიბორისტული პარტია საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით საკუთარი ინიციატივით გამოდის. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნესტან კირთაძემ განაცხადა, არხი საკუთრებაში ხალხს უნდა გადაეცეს და მის მუშაობაზე მონიტორინგი სწორედ მოსახლეობამ უნდა განახორციელოს.

ეს იქნება პირველი სახალხო პროექტი, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდება ამ საკითხთან დაკავშირებით ამ დრომდე გამოთქმული მოსაზრებებისგან. ჩვენ არ გვსურს, აღნიშნული არხი რომელიმე პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესების გამომხატველი იყოს. ცოტა ხნის წინათ მოსახლეობას ისიც კი ახარეს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ხალხს დაუბრუნდაო, სინამდვილეში ბორდის ახალი შემადგენლობით დაკომპლექტება ისეთივე ფარსია, როგორც განახლებული მინისტრთა კაბინეტი. ჩვენ გთავაზობთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი საკუთრების უფლებით გადაეცეს ხალხს და თითოეული საქართველოს მოქალაქე გახდეს აქციონერი, რომელიც არხის მუშაობაზე მონიტორინგს თავად განახორციელებს, — განაცხადა ნესტან კირთაძემ.

ჯი-ეიჩ-ენი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო იუწყება, რომ ამავე უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნუგზარ წერეთელს გარდაეცვალა მამა

იოსებ წერეთელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბუნებრივ ნივთიერებათა ქიმიური მოდიფიკაციის ლაბორატორიის გამგის, პროფესორ მადონა სიხარულიძის მეუღლე

დავით შავდათუაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

საქმე №2-84

## განჩინება

საქართველოს სახელით

კრედიტორთა უკანასკნელი კრების მოწვევის შესახებ

24 იანვარი, 2008 წელი ქ.რუსთავი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნატა თედეშვილმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს „ერას“ გაკოტრების მმართველის ვახტანგ კაპანაძის განცხადება კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ და

დაადგინა:

1. კრედიტორთა კრება მოწვეული იქნეს 2008 წლის 05 თებერვალს 11 საათისთვის რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობაში — ქ.რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ.№6. დღის წესრიგად განისაზღვროს: გაკოტრების მმართველის ანგარიშის მოსმენა და საბოლოო ცხრილის დამტკიცება.

2. განჩინების მხოლოდ შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს დაფაზე, საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში. სასამართლოს გარდა განჩინების გამოქვეყნების უზრუნველყოფა განხორციელდეს გაკოტრების მმართველის ვახტანგ კაპანაძის მიერ.

3. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა რუსთავის საქალაქო სასამართლოში მისი გამოქვეყნების დღიდან 12 დღის ვადაში (ქ.რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ.№6ძ.

მოსამართლე ნატა თედეშვილი

# ბოლო გვერდი

● როგორც თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გოგა დათუნაშვილმა განაცხადა, ამჟამად რეკონსტრუქციის სამუშაოები ავლაბრის სკვერში, ვერისა და 9 აპრილის ბაღებში მიმდინარეობს



როგორც თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გოგა დათუნაშვილმა განაცხადა, ამჟამად რეკონსტრუქციის სამუშაოები ავლაბრის სკვერში, ვერისა და 9 აპრილის ბაღებში მიმდინარეობს.

სამივე მათგანში გამოიცვლება ქვაფენილი, შეიცვლება მწვანე საფარი, დამონტაჟდება ულტრათანამედროვე სარწყავი სისტემა, დეკორატიული დასასვენებელი მერხები და სანათები.

დათუნაშვილის ინფორმაციით, სარეკონსტრუქციო სამუშაოები გასული წლის ბოლოს დაიწყო და ყინვების გამო შეფერხდა.

## ◎ ინფორმაცია

## ირანს ნატო არ მოსწონს

**პოლიტიკური მოძრაობა „იმედის" ლიდერის ირინა სარიშვილის აზრით, მთავრობის მიერ დაწყებული კამპანია კონფლიქტური ზონების რეინტეგრაციის შესახებ კონფლიქტის ახალ კერებს გამოიწვევს.**



როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სარიშვილმა განაცხადა, რუსეთი ნატოს ჯარების მის საზღვართან განლაგებას არ დაუშვებს.

აბსოლუტურად ნათელი და ცხადია რუსეთის პოზიცია, მოგვწონს ჩვენ ეს, თუ არ მოგვწონს. ის თავის საზღვრებთან არ დაუშვებს ნატოს სამხედრო ბაზებს. აფხაზეთიც და სამაჩაბლოც რუსეთს ესაზღვრება. აქედან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ ან აფხაზეთის ან სამაჩაბლოს ხელისუფლებამ ტონი შეცვალოს საქართველოს ხელისუფლების მიმართ. მათი ტონის შეცვლა დამოკიდებულია რუსეთზე,– აღნიშნა სარიშვილმა.

მან აღნიშნა, რომ ხელმოწერების შეგროვებას საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების ჯარების აკრძალვის მოთხოვნით ორშაბათიდან დაიწყებენ.

## ტრანსკავკასიური მაგისტრალი ჩაიკეტა

**ტრანსკავკასიური მაგისტრალი დიდი ოდენობით ნალექების გამო ჩაკეტილია.**

როგორც თვითალიარებული სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დე ფაქტო სახელმწიფო კომიტეტი დე ფაქტო საგზაო და კაპიტალური მშენებლობის სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება, მაგისტრალის ჩრდილოეთ მონაკვეთზე ღამით დიდი ოდენობით ნალექის გამო ზვავსაშიშროება წარმოიქმნა. ამ მიზეზით მაგისტრალზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა.

უახლოეს დღეებში ზვავსაშიშროება შენარჩუნდება. მაგისტრალის სამხრეთ მონაკვეთს თოვლისგან წმენდენ, – განაცხადეს დე ფაქტო უწყებაში.

## საქართველოში „დანჯღრეული" მანქანების ბუმია

**საქართველოში 2000-2005 წლების გამოშვების 17 ათასი, 1995-1999 წლების – 45 ათასი, 1990-1994 წლების – 117 ათასი, 1985-1989 წლების – 120 ათასი, 1985 წლამდე გამოშვების კი 130 ათასი ავტომანქანაა.**

ასეთ მონაცემებს საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი აქვეყნებს. კავშირის ცნობით, საწვავის წვის შედეგად გარემოში მავნე ნივთიერებების გამოფრქვევის დონე დამოკიდებულია სწორედ სატრანსპორტო საშუალებების ვარგისიანობასთან.

როგორც კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ იობაშვილი აღნიშნავს, მანქანების აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნია კატალიზატორული სისტემა, ან ის მწყობრიდანაა გამოსული.

**ინტერპრესნიუსი**

## საბურთალო და მთაწმინდა უწყლოდ დატოვეს

**გაგარინის ქუჩაზე წყლის მილის დაზიანების გამო, მთაწმინდისა და საბურთალოს რაიონების ქუჩების ნაწილს წყლის მიწოდება შეუწყდა.**

როგორც კომპანია „თბილისის წყალის" ცხელ ხაზზე გვაცნობეს, გვიან ღამით, გაგარინის ქუჩაზე დიდი გამავლობის წყლის მილი დაზიანდა, რის გამოც მოსახლეობას წყალი აღარ მიეწოდება. კერძოდ – გაგარინის ქუჩის მიმდებარე ქუჩების ნაწილს, ასევე მთაწმინდას, სოლოლაკს, ლადო ასათიანისა და გორგასლის ქუჩებს.

დაზიანებულ უბანზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

## დანაშაულებებმა იკლეს

**გენერალურმა პროკურატურამ 2007 წელს დედაქალაქის მასშტაბით ჩადენილ დანაშაულთა მონაცემები გამოაქვეყნა. სამართალდამცავი უწყების ინფორმაციით, გასულ წელს თბილისში სულ 29 ათას 219 დანაშაული დარეგისტრირდა, რაც 6 ათას 400 ერთეულით ნაკლებია 2006 წელთან შედარებით. ოფიციალური მონაცემებით, 2006 წელს 35 ათას 619 დანაშაული დაფიქსირდა.**

გენპროკურატურის ცნობით, 2007 წლის განმავლობაში რეგისტრირებული დანაშაულიდან გახსნილია 7 ათას 356. აღსანიშნავია, რომ ფიქსირდება მძიმე კატეგორიის დანაშაულთა კლებაც. თუკი 2006 წელს მძიმე დანაშაულის 18 ათას 209 შემთხვევა დაფიქსირდა, 2007 წელს ამ რიცხვმა მნიშვნელოვნად დაიკლო და 7 ათას 196 ერთეულით განისაზღვრა.

## თბილისს ახალი ბაღები შეემატება

**მარტის ბოლოსთვის დედაქალაქში რეკონსტრუირებული სკვერი და ორი ბაღი გაიხსნება.**

## ორთაჭალის ციხეს ანგრევს და... ახალს აშენებს

**თბილისის ცეტრში ქაჯეთის ციხე აღარ იქნება, – ამის შესახებ განცხადება პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომაზე იუსტიციის მინისტრობის კანდიდატმა ნიკა გვარამიამ გააკეთა.**

გვარამიას თქმით, უახლოეს პერიოდში დაიწყება ახალი ციხეების მშენებლობა, რადგან დღეს არსებული ციხეები საშუალო ევროპულ სტანდარტებსაც კი ვერ აკმაყოფილებს.

დაგეგმილია ახალი ციხეების მშენებლობა, თუმცა ეს სად, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის ცენტრში ქაჯეთის ციხე – ორთაჭალის საპყრობილის სახით, აღარ იარსებებს. სასჯელაღსრულების ეს დაწესებულება დაინგრევა და მის ნაცვლად ახლი ციხე აშენდება, – განცხადა გვარამიამ.

**ინტერპრესნიუსისა და ХИ-ЭЙБ-ЭНИ-ს მიხედვით**


რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში"

98-65-87;

899 32-85-76.

კოსტავას 12


## ◎ კადრი



## ◎ ანეკდოტები

– შვილის ყოლის შესაძლებლობა დავკარგე.

– რით?

– ხაფანგში გავები.

– მერე ეს განაყოფიერების უნარის დაკარგვასთან რა კავშირშია, ხაფანგში ხომ მაქსიმუმ ფეხს დაიზიანებდი?

– ხაფანგის წინ წავიფორთხილე და...



* * *

მარო სარას ესტუმრა. ხედავს, რომ სასტუმრო ოთახი წყლით არის დატბორილი, დიასახლისი კი დივანზე წევს.

– რა დაგემართა, სარა?

– არაფერი. უბრალოდ, ქვედა მეზობელმა მითხრა, თუ კიდევ ჩამოუშვებ წყალს, იცოდე, გიხმარო.

* * *

გადაწყვეტილებას ყველაზე სწრაფად ღებულობენ ადამიანები, რომლებიც მიჩვეული არ არიან ფიქრს.

* * *

ნებისმიერი ადამიანი დროდადრო სჩადის ხოლმე სისულელეებს. განსხვავება მხოლოდ სიტყვებშია: დიდი ადამიანების სისულელეებს სიგიჟედ მიიჩნევენ, მდიდარი ადამიანებისას – კაპრიზებად.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.